



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვაშტიკი“

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა
და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
სოფიო დვალისვილი

ს. ი. ი.

6 თებერვალი 2023 წელი

N 2/36

ვგზ.: N3

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
სასაზღვრო პოლიციის აქტივების მართვისა
და სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	3
	შემაჯამებელი მიმოხილვა	4
	რეკომენდაციები	12
	1. შესავალი	15
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	15
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	15
	აუდიტის საგანი	15
	აუდიტის მასშტაბი	15
	აუდიტის კრიტერიუმები	16
	აუდიტის მიზანი	18
	აუდიტის მეთოდოლოგია	18
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	19
	2. აუდიტის მიგნებები	20
	2.1 აქტივების მართვა	20
	2.1.1 უძრავი ქონება	20
	2.1.2 საფრენი აპარატები	28
	2.1.3 მცურავი საშუალებები	32
	2.1.4 სხვა სპეციფიკური ქონება	36
	2.1.5 ავტოპარკის მართვა	40
	2.1.6 მცირეფასიანი ინვენტარი, სასაქონლო მატერიალური მარაგები და სხვა აქტივები	44
	2.1.7 აქტივების ინვენტარიზაცია	46
	2.2 სახელმწიფო შესყიდვები	50
	2.2.1 სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა	50
	2.2.2 შესყიდვების განხორციელების პროცესი	54
	საკონტაქტო ინფორმაცია	58

ტერმინები და შემოკლებები

სამინისტრო, შსს - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

მინისტრი - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

სასაზღვრო პოლიცია - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია.

სასაზღვრო პოლიციის სამმართველო - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეული.

DTRA - თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტო.

სასაზღვრო სექტორი - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის სამმართველოს სტრუქტურული ქვედანაყოფი.

კინოლოგი - სასაზღვრო პოლიციის სამტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობაზე დანიშნული პირი, რომელზეც მიმაგრებულია სასამსახურო ძაღლი.

შპს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

ქონების სააგენტო - სსიპ სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნული სააგენტო.

ექსპერტიზის ეროვნული ბიურო - სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

ასკ - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.

აგაი სისტემა - ავტომანქანის საწვავით გამართვისა და ავტომატური იდენტიფიცირების სისტემა.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის 2019-2020 წლების აქტივების მართვისა და სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

აქტივების მართვა

სასაზღვრო პოლიციას თავისი ფუნქციების შესასრულებლად გააჩნია მნიშვნელოვანი ოდენობის და ღირებულების აქტივები, რომლებიც განთავსებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე (ძირითადად, საზღვრებზე), მათ შორის რთულად მისადგომ ადგილებში, რის გამოც პრობლემურია მათი მართვა და დაცულობაზე სრულყოფილი კონტროლი. აღნიშნული ქონების მართვაში დაფიქსირდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანება. კერძოდ:

უძრავი ქონება

ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიული გეგმის არარსებობა

სასაზღვრო პოლიცია სისტემატურად ადგენს განვითარების საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებს, თუმცა არ არის შემუშავებული უწყებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ერთიანი სტრატეგიული გეგმა.

უძრავი ქონების ნაწილი თავისი მდებარეობით, პარამეტრებით და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლებით, ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება იმ საჭიროებებსა და მიზნებს, რაც სასაზღვრო პოლიციას გააჩნია. ერთიანი სტრატეგიული გეგმის არარსებობის გამო, ვერ ხორციელდება გამოუყენებელი და არასაჭირო აქტივების რაციონალური მართვა.

ამორტიზებული და გამოუყენებელი შენობა-ნაგებობები

შენობა-ნაგებობების გარკვეული ნაწილი ამორტიზებული და გამოუყენებელია, თუმცა ვერ ხორციელდება ჩამოწერილი შენობა-ნაგებობების დაშლა და დემონტაჟის შედეგად მიღებული მასალების ეფექტიანი გამოყენება.

საცხოვრებელი ბინების მართვის ნაკლოვანებები

სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე ირიცხება სამსახურებრივი დანიშნულების საცხოვრებელი ბინები, რომლებიც განთავსებულია, როგორც საზღვრისპირა ტერიტორიებზე, ასევე - ქალაქებში. აღნიშნული ბინების ნაწილი უკვე პრივატიზებულია,¹ თუმცა კვლავ ირიცხება ბალანსზე, ნაწილი გამოუყენებელია, ნაწილი კი დაკავებულია სხვადასხვა პირის, მათ შორის, უწყების ყოფილი ან მოქმედი თანამშრომლების მიერ.² ამასთანავე, რამდენიმე შემთხვევაში უწყების კუთვნილი საცხოვრებელი ფართი, წლების მანძილზე დაკავებული აქვთ უცხო პირებს, შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე. უკანონოდ დაკავებული ფართების გამოსათავისუფლებლად არ ხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული რეაგირება.

არარეგისტრირებული უძრავი ქონება

სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ნაწილი არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, რაც წარმოშობს აღნიშნული ქონების სხვა იურიდიული ან კერძო პირისათვის გადაცემის რისკს უწყებასთან შეთანხმების გარეშე, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს უწყების მიზნების,

¹ ძირითად შემთხვევებში უწყების მოქმედ და ყოფილ თანამშრომლებზე.

² რომელთაგანაც ნაწილს გააჩნია გასულ წლებში შესაბამისი კომისიის მიერ გაცემული სათანადო დოკუმენტი, ნაწილი კი დოკუმენტის გარეშე არის შესახლებული საუწყებო ბინებში.

კერძოდ, საზღვრის ეფექტიანი დაცვის საკითხთან დაკავშირებით.

ზოგიერთ შემთხვევაში უწყების ბალანსზე არსებული გარკვეული ქონებით წლების განმავლობაში სარგებლობენ შსს-ს დაქვემდებარებაში მყოფი სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფები.

საფრენი აპარატები

დასაცავი ტერიტორიის საჰაერო მონიტორინგის ნაკლოვანება

სასაზღვრო პოლიციის სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველოს ძირითადი ფუნქციები და ამოცანები მრავალფეროვანია, საიდანაც აღსანიშნავია სახელმწიფო საზღვრის, სასაზღვრო ზოლის, სასაზღვრო ზონისა და საზღვაო სივრცის მონიტორინგი - ძებნა, საჰაერო თვალთვალი და პატრულირება.

აუდიტორული პროცედურების დასრულების მდგომარეობით, სასაზღვრო პოლიციაში არ არსებობს ფორმალური დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს დასაცავი ტერიტორიის ჰაერიდან მონიტორინგის, კონტროლისა და პატრულირების მეთოდებს, სიხშირეს, ვადებსა და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს. დეტალურად გაწერილი კრიტერიუმის არარსებობის გამო, აუდიტმა ვერ უზრუნველყო, აღნიშნული მიმართულებით შეეფასებინა სამმართველოს საქმიანობა. აუდიტის ობიექტის განმარტებით, ფრენები ხორციელდება საჭიროებიდან გამომდინარე, თუმცა საჭიროების განმსაზღვრელი კონკრეტული კრიტერიუმი დადგენილი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნული დანიშნულების ფრენების რაოდენობა მცირეა, რაც ძირითადად საფრენი აპარატებისა და შესაბამისი ბიუჯეტის სიმცირით არის გამოწვეული.

საფრენი აპარატების საექსპლუატაციო მზადყოფნის ნაკლოვანებები

ავიაციის მთავარი სამმართველოს განკარგულებაში არსებული საავიაციო ინფრასტრუქტურა არაა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

თითოეულ საფრენ აპარატს გააჩნია ტექნიკური ექსპლუატაციის სახელმძღვანელო, რომლის შესაბამისად უნდა ხორციელდებოდეს სარემონტო (სარეგლამენტო) სამუშაოები, თუმცა, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, არასაკმარისი დაფინანსებისა და შემსრულებელი კომპანიის მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, რეგლამენტის შესაბამისად დროულად ვერ ტარდება ყველა საფრენი აპარატისათვის საჭირო სარემონტო სამუშაოები, რის გამოც იკრძალება მათი გამოყენება და არ ხდება ექსპლუატაცია.

საფრენი აპარატების მნიშვნელოვანი ნაწილი წლების განმავლობაში უმოქმედოა. აღნიშნული საავიაციო საშუალებები, ძირითადად განთავსებულია საავიაციო სადგომზე, ღია ცის ქვეშ, მზისა და ატმოსფერული ნალექების უარყოფით ზემოქმედების პირობებში, რის გამოც მცირდება მათი საბაზრო ღირებულება. ამასთანავე, ყოველ ასეთ საფრენ აპარატს ესაჭიროება ჩაუტარდეს მოვლა-შენახვის ღონისძიებები, რისთვისაც იხარჯება რესურსები. აქედან გამომდინარე, საჭიროა მათი შემდგომი გამოყენების საკითხის დროულად გადაწყვეტა ხარჯთეფექტიანობის პრინციპების გათვალისწინებით.

საგანგებო სიტუაციებში ჩართულობისა და ლიტერული ფრენების კონტროლის ნაკლოვანებები

სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველოს, სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებთან ერთად, ევალება სამაშველო ღონისძიებების განხორციელება საგანგებო სიტუაციების დროს და სახელმწიფოს მაღალი რანგის თანამდებობის პირების საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირება (შემდგომ - ლიტერული ფრენები), შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის შესაბამისი დასაბუთებული წერილობითი მიმართვის საფუძველზე, თუმცა არ არის იდენტიფიცირებული, რა სახის დოკუმენტი უნდა იყოს წარდგენილი უშუალოდ ავიაციის მთავარი სამმართველოსათვის, აღნიშნული ტიპის ფრენის განსახორციელებლად.

აუდიტის პერიოდში ავიაციის მთავარი სამმართველო სისტემატურად ახორციელებდა ფრენებს ტყის მასიური ხანძრების ჩაქრობის, ძნელად მისადგომ ადგილებში სამაშველო ღონისძიებების ჩატარებისა და მაღალი რანგის თანამდებობის პირების, აგრეთვე შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროს სტუმრების ტრანსპორტირების მიზნით. აღნიშნული კატეგორიის ფრენების შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი მიმართვები. ფრენებთან დაკავშირებით სასაზღვრო პოლიციის მიერ დეგრადაციული ანგარიში, სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია, თუმცა ინფორმაცია ფრენების მიზეზებსა და შედეგებზე ანგარიშში არ მოიპოვება, რის გამოც აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო სათანადო რწმუნება უწყების აქტივების კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად გამოყენების შესახებ. აუდიტის ობიექტის განმარტებით, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის მიზნით შემუშავდა პროექტი, რომლის თანახმადაც სამაშველო ფრენები განხორციელდება შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

მცურავი საშუალებები

წლების განმავლობაში საზღვაო ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა უმჯობესდება, ძირითადად დონორი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი ქვეყნების დახმარებით. აღნიშნული პროცესი განგრძობადი ხასიათისაა, თუმცა სანაპირო დაცვის დეპარტამენტის საჭირო ქონებით სრულყოფილი უზრუნველყოფა ვერ ხორციელდება.

მცურავი საშუალებების საექსპლუატაციო მზადყოფნის ნაკლოვანებები

სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მცურავი საშუალებები, ძირითადად ხანდაზმულია და არ გააჩნია საკმარისი რესურსი სხვადასხვა სახის ოპერაციის ჩასატარებლად. მათი ნაწილი მწყობრიდანაა გამოსული. უმეტესობას ესაჭიროება მიმდინარე ან/და სხვა სახის რემონტი, ხოლო რამდენიმე მათგანის ძირითად აგრეგატებს საექსპლუატაციო რესურსი უკვე ამოწურული აქვს და დიდია მათი მწყობრიდან გამოსვლის ალბათობა.

აღნიშნული მცურავი საშუალებების რემონტი მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, რადგან ისინი წარმოებულია სხვადასხვა ქვეყანაში და სიძველის გამო რთულია მათთვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ან/და შემკეთებელი კომპანიის მოძიება. აღნიშნულ პირობებში რთულდება საზღვრის დაცვის ღონისძიებების სრულყოფილად განხორციელება, რაც წარმოშობს რისკს, რომ

დეპარტამენტი ჯეროვნად ვერ შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, რომლებიც უფრო ფართოა,³ ვიდრე საზღვაო საზღვრის დაცვა.

მცურავი საშუალებების მიერ საწვავ-საპოხი მასალების მოხმარების ნაკლოვანებები

სანაპირო დაცვის დეპარტამენტისათვის პრობლემურია მცურავი საშუალებების ენერგეტიკული დანადგარების მიერ გახარჯული საწვავის ზუსტი ოდენობის დადგენა, რადგან მასზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი და შეუძლებელია ძრავების საწვავის ხარჯის ზუსტი ნორმების დადგენა, განსხვავებულ რეჟიმსა და ბრუნზე მუშაობისას.

მცურავი საშუალებების მიერ საწვავ-საპოხი მასალების მოხმარების ნორმები განსაზღვრულია ქრონომეტრაჟების საფუძველზე და დამტკიცებულია შესაბამისი ბრძანებით, თუმცა ამ ორ დოკუმენტში შეუსაბამოა მოძრაობის რეჟიმები. ამასთანავე, ბრძანებით დადგენილი ნორმებით გახარჯული საწვავის ოდენობის გამოსათვლელად აუცილებელია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ დროის რა მონაკვეთში როგორი სვლით მოძრაობდა მცურავი საშუალება, რაც აღნიშნულ დეპარტამენტში დოკუმენტურად არ ფიქსირდება, ამიტომ საფინანსო სამსახურს არ აქვს შესაძლებლობა – განსაზღვროს ჩამოსაწერი საწვავის ნორმატიული ოდენობა. აღნიშნული ფაქტი კრიტერიუმის და მარეგულირებელი აქტის არასრულყოფილებაზე მიუთითებს.

პრობლემის მოსაგვარებლად სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მიერ 2019 წელს მოთხოვნილია მცურავი საშუალებების აღჭურვა GPS მონიტორინგის განმახორციელებელი მოწყობილობებით, საწვავის რაოდენობის განმსაზღვრელი სენსორით, თუმცა აღნიშნული მოთხოვნა არ არის შესრულებული, რაც წარმოშობს საწვავ-საპოხი მასალების არამართლზომიერად განკარგვის რისკებს.

სხვა სპეციფიკური ქონება

ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალების მართვის ნაკლოვანებები

სასაზღვრო პოლიციის სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ნაწილი 30-წლიანი ხანდაზმულობისაა.

უწყებაში ირიცხება დაზიანებული იარაღი, რომელიც ინვენტარიზაციის აღწერილობებში შეიტანება ცალკე, როგორც „უვარგისი“, თუმცა იარაღის და საბრძოლო მასალების ჩამოწერის პროცესს მნიშვნელოვნად ახანგრძლივებს სხვადასხვა უწყების ჩართულობით არსებული ბიუროკრატიული პროცესები.

მოქმედი კანონმდებლობით რეგულირდება მხოლოდ ზღვრულ მდგომარეობამდე მიყვანილი და არა ვარგისი, მაგრამ გამოუსადეგარი შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების ჩამოწერისა და აღრიცხვიდან მოხსნის საკითხი. შესაბამისად, არსებული მდგომარეობით უწყება ვერ ახერხებს აღნიშნული ქონების შესაბამისი სტრუქტურებისთვის გადაცემას და ჩამოწერას, რადგან არ არსებობს შესაბამისი რეგულაციები. აღნიშნული საკითხი ძალოვანი უწყებებისთვის სისტემური ხასიათის პრობლემაა.

³ სტიქიური მოვლენების დროს მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენა, ზღვაზე საძიებო-სამაშველო ოპერაციების განხორციელება, საქართველოს საზღვაო სივრცეში კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია, გამოვლენა, აღკვეთა და სხვ.

ქონების დიდი ნაწილი წმინდა საბრძოლო დანიშნულებისაა და მოქმედი კანონმდებლობით მათი რეალიზაცია დაუშვებელია, მაგრამ ქონების ისეთი ნაწილი, როგორიცაა, სატელიტური სანავიგაციო სისტემა GPS, ღამის ხედვის ხელსაწყო და ა.შ., თავისუფალ მიმოქცევაშია და შესაბამისი რეგულაციების ცვლილებების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება მათი რეალიზაცია.

კინოლოგიის მიმართულებით არსებული ნაკლოვანებები

სახმელეთო საზღვრის დაცვის მიზნით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძალების გამოყენებას. სტრატეგიული ხედვით, სასაზღვრო პოლიციას, საზღვრის უფრო ეფექტიანად დაცვისათვის, ესაჭიროება 3-4 ჯერ მეტი ძალა, რის გამოც არსებული მდგომარეობით, მათი შესაძლებლობების გამოყენებას ფრაგმენტული ხასიათი აქვს. საზღვრის თითქმის არც ერთი მონაკვეთი არ კონტროლდება უწყვეტად, ძალების გამოყენებით.

არსებული მდგომარეობით, კინოლოგების მოტივირებისა და წახალისების სისტემა დამტკიცებული არ არის, შესაბამისად, მცირდება კინოლოგობის მსურველთა რიცხვი. პრობლემის მოსაგვარებლად, გათვალისწინებულია სამართლებრივი აქტის მიღება. შესაბამისი პროექტი შემუშავებულია და 2019 წლიდან მიმდინარეობს მიმოწერა შსს-ს შესაბამის სტრუქტურებთან, თუმცა საკითხი გადაწყვეტილი არ არის.

მოქმედი კანონმდებლობით, სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე რიცხული გამოუსადეგარი ძალა განიხილება, როგორც სახელმწიფო ქონება და უნდა მოხდეს მისი რეალიზაცია დადგენილი წესის მიხედვით, თუმცა არ არის გათვალისწინებული საკითხის სპეციფიკური ხასიათი. აუქციონის წესით ძალების რეალიზაცია რთული და ხანგრძლივი პროცესია. პრობლემის გადასაჭრელად შესაძლებელია საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება⁴ და კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, სადაც გათვალისწინებული იქნება საკითხის სპეციფიკურობა.

ავტოპარკის მართვა

ავტოპარკის ოპტიმიზაციის პროცესში არსებული ნაკლოვანებები

სასაზღვრო პოლიციაში არ სრულდება საქართველოს მთავრობის N121 დადგენილების მოთხოვნები და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018 წელს ჩატარებული სისტემური შესაბამისობის აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციები. კერძოდ, არსებული ავტომანქანები არ არის კლასიფიცირებული სარგებლობის დადგენილი ფორმების მიხედვით, რის გამოც ვერ დგინდება:

- ┌ მათი ფუნქციები (განპიროვნებულია, სამორიგეო თუ ოპერატიული);
- ┌ ვრცელდება თუ არა მათზე მთავრობის დადგენილებით დაწესებული სხვადასხვა შეზღუდვა;
- ┌ ავტომანქანების არსებული რაოდენობა შეესაბამება თუ არა დადგენილების მოთხოვნებს.

ყოველივე ზემოაღნიშნული ხელს უშლის დადგენილებით განსაზღვრული მიზნის - სახელმწიფო ავტოპარკის ოპტიმიზაციის მიღწევას და შესაბამისი ხარჯების შემცირებას.

⁴ მაგალითად, ძალების შესაბამისი კინოლოგზე გადაცემა შესაბამისი ანაზღაურებით.

ნორმატიული აქტით არ არის განსაზღვრული საჭირო სატრანსპორტო საშუალებების სახეობები და რაოდენობები სასაზღვრო სექტორების მიხედვით, ხოლო სასაზღვრო სექტორებზე ამჟამად არსებული სატრანსპორტო საშუალებების, განსაკუთრებით, კვადროციკლების რაოდენობა და ტექნიკური მდგომარეობა არ შეესაბამება განსაზღვრულ მოთხოვნებს.

საწვავის არამიზნობრივი ხარჯვის პრევენციული მექანიზმების ნაკლოვანებები

არსებული შიდა კონტროლის მექანიზმები სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს საწვავის არამიზნობრივი ხარჯვის პრევენციას, რის გამოც ადგილი ჰქონდა სატვირთო და სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების საგზურის ფურცლებში ავტომანქანების განვლილი მანძილის და ადგილზე მუშაობის საათების მექანიკურად გაზრდის ფაქტებს და განხორციელდა საწვავის ზედმეტად ჩამოწერა. ამასთანავე, აუდიტის პერიოდში გამოვლინდა უწყების სამსახურებრივი ავტომანქანების არადანიშნულებისამებრ, კერძოდ, თანამშრომლის შვებულებაში ყოფნის დროს გამოყენების, მათ შორის, საწვავის ჩასხმის ფაქტები. აღნიშნული სახის დარღვევები ასევე გამოვლენილია შსს-ს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული შემოწმებით, რის გამოც შესაბამის პირებს დაეკისრათ უწყებისადმი მიყენებული ზარალის ანაზღაურება და შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობა. აუდიტის ობიექტის განმარტებით, არსებული მდგომარეობით, ავტოპარკი სრულად არის გადასული აგაი სისტემის გამოყენებაზე.

მცირეფასიანი ინვენტარი, სასაქონლო მატერიალური მარაგები და სხვა აქტივები

გამოუყენებელი მცირეფასიანი ინვენტარის და სასაქონლო მატერიალური მარაგების ჩამოწერასთან დაკავშირებული პრობლემები

სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე ირიცხება დიდი ოდენობის ამორტიზებული ან ვარგისი, მაგრამ გამოუყენებელი მცირეფასიანი ინვენტარი და მატერიალური მარაგები, რომელთა ჩამოწერა, მოქმედი სამართლებრივი ბაზის პირობებში, წლების განმავლობაში ვერ ხორციელდება. შედეგად, უარესდება აღნიშნული ქონების ფიზიკური მდგომარეობა და მცირდება მათი ღირებულება.

კვების პროდუქტების ხარჯვის ნაკლოვანებები

მოსამსახურეთა საყაზარმე კვების პროცესში სისტემატური ხასიათი ჰქონდა ძირითადი პროდუქტის სხვა პროდუქტით შეცვლას. მარეგულირებელი აქტებით კონკრეტულად არ არის მითითებული, რა შემთხვევაში, რა სიხშირით და რა მოცულობით არის დასაშვები ძირითადი პროდუქტის სხვა პროდუქტით შეცვლა, რაც წარმოშობს არათანაბარზომიერი ჩანაცვლებისა და არაეკონომიურობის რისკებს.

აქტივების ინვენტარიზაცია

აქტივების შენახვის, დაცვის, ექსპლუატაციის წესებისა და პირობების შესამოწმებლად სავალდებულოა ყოველწლიური ინვენტარიზაციის ჩატარება. აუდიტის პერიოდში აღნიშნული პროცესი მიმდინარეობდა შემდეგი ნაკლოვანებებით:

სტრუქტურულ ქვედანაყოფებში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგების გადაუმოწმებლობა

ყოველწლიური სავალდებულო ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით, სასაზღვრო პოლიციის ცენტრალურ აპარატში იქმნება მუდმივმოქმედი (ცენტრალური) საინვენტარიზაციო კომისია, ხოლო საბალანსო ერთეულებში -

ადგილობრივი საინვენტარიზაციო კომისიები, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან ცენტრალური საინვენტარიზაციო კომისიის წინაშე. კომისიას აქვს უფლებამოსილება, თავისი გადაწყვეტილებით გადაამოწმოს სამმართველოებში შექმნილი კომისიების მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის მიმდინარეობა ან/და შედეგები, თუმცა ცენტრალურ საინვენტარიზაციო კომისიას სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში ჩატარებული ინვენტარიზაციის მდგომარეობა პრაქტიკულად არ გადაუმოწმებია, რაც რისკების შემცველია.

ინვენტარიზაციის ჩატარება არაოფიციალური სამუშაო ჯგუფების მიერ

სასაზღვრო პოლიცია არ იყენებს მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებას, რათა ტერიტორიულად განცალკევებულ ადგილებში ინვენტარიზაცია განახორციელოს ოფიციალურად დამტკიცებული სამუშაო ჯგუფების საშუალებით. არსებული პრაქტიკით, მხოლოდ კომისიის წევრებისაგან შემდგარი არაოფიციალური ჯგუფები ატარებდნენ ინვენტარიზაციას და არა საინვენტარიზაციო კომისია სრული შემადგენლობით, რაც მოქმედი კანონმდებლობით, გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველს წარმოადგენს. ამასთანავე, იმ უძრავი ქონების აღწერა, რომელიც ცენტრალური აპარატის ოფისიდან ტერიტორიულად დიდ მანძილზე მდებარეობს, ძირითადად, ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

უსარგებლო აქტივების გამოვლენაში არსებული ნაკლოვანებები

ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ერთ-ერთ მიზანია ისეთი აქტივების გამოვლენა, რომელთაც არ მოაქვს ეკონომიკური სარგებელი. სასაზღვრო პოლიციაში არსებული უვარგისი ქონება აღირიცხება ცალ-ცალკე სამმართველოების და სექტორების მიხედვით, თუმცა ზოგ შემთხვევაში უკვე დოკუმენტურად აღიარებული გამოუყენებელი ქონების შესახებ სათანადო ინფორმაცია საინვენტარიზაციო უწყისებში არ აისახებოდა. არის შემთხვევები, როდესაც გარკვეული სახის ვარგისი ქონების გამოყენების პერსპექტივა აღარ არსებობს, თუმცა ამის შესახებ არ ფიქსირდებოდა ინვენტარიზაციის აქტებში.

დანაკლისის ანაზღაურების პრობლემა

ინვენტარიზაციისას გამოვლენილი აქტივების დანაკლისის ანაზღაურება ეკისრებათ მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს. სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე ირიცხება სხვადასხვა დასახელების, მნიშვნელოვანი რაოდენობის იარაღი და საბრძოლო მასალა, რომლებიც ნულოვანი ღირებულებითაა ასახული. აღნიშნულის გამო, დანაკლისად დაფიქსირების შემთხვევაში ვერ ხორციელდება მათი ღირებულების დადგენა, რათა მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს დაეკისროთ შესაბამისი თანხის ანაზღაურება. მოქმედი ნორმატიული აქტებით აღნიშნული საკითხი არ არის დარეგულირებული.

სახელმწიფო შესყიდვები

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში გამოვლინდა ხარვეზები და ნაკლოვანებები, რომლებიც საბიუჯეტო სახსრების ნაკლებობასთან ერთად გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით: შესყიდვების არასწორი დაგეგმვა, შესასყიდი საქონლის/მომსახურების პრიორიტეტულობის დაუცველობა, შესყიდვის პროცედურების დაგვიანებით დაწყება და სხვა ნაკლოვანებები.

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა

აუდიტის პერიოდში სასაზღვრო პოლიციაში შესყიდვების გეგმის შედგენის პროცესი ეწინააღმდეგებოდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ პრინციპებს და ატარებდა ფორმალურ ხასიათს. ამასთანავე, შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული თანხები მნიშვნელოვნად აღემატება დამტკიცებული ბიუჯეტით შესყიდვებისთვის განკუთვნილ ასიგნებებს.

შესყიდვების განხორციელების პროცესი

აუდიტის პერიოდში შესყიდვები არ ხორციელდებოდა პრიორიტეტების გათვალისწინებით. გარკვეული საქონლის/მომსახურებისათვის შესყიდვის პროცედურები იწყებოდა დაგვიანებით და სეზონის გაუთვალისწინებლად. შედეგად, გარკვეულ შემთხვევებში ვერ ხორციელდებოდა მოსამსახურეთა სანივთე ქონებით დროული უზრუნველყოფა და სახელმწიფო შესყიდვების პროდუქტიული განხორციელება. რამდენიმე შემთხვევაში სატენდერო დოკუმენტაციით პრეტენდენტებისადმი წაყენებული მოთხოვნები ისე იყო ჩამოყალიბებული, რომ ხელს არ უწყობდა ჯანსაღ კონკურენციას და სასურველი საქონლის ეკონომიურ შესყიდვას. შედეგად, სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს პრეტენდენტების უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებდა, რის გამოც სანივთე ქონების შესყიდვა ხორციელდებოდა შესაძლებელზე მაღალ ფასად.

რეკომენდაციები

საქართველოს სასაზღვრო პოლიციას

რეკომენდაცია N1.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის ინტერესების/საჭიროებების და უსაფრთხოების ზომების გათვალისწინებით, ქონების რაციონალური მართვის უზრუნველსაყოფად, სასაზღვრო პოლიციამ შეიმუშაოს უწყებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების და ბალანსზე რიცხული ქონების მართვის ერთიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს:

-)/ ბალანსზე რიცხული არასაჭირო ქონების სახელმწიფოსათვის დაბრუნების საკითხის გადაწყვეტას;
-)/ გამოუყენებელი, მაგრამ უწყებისათვის საჭირო აქტივების ნორმალურ საექსპლუატაციო მდგომარეობაში მოყვანისა და მათი რაციონალური გამოყენების საკითხებს;
-)/ აუცილებელი ინფრასტრუქტურის, ავტოსატრანსპორტო, მცურავი და საფრენი საშუალებების პარკების, სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების განვითარების სტრატეგიას.

რეკომენდაცია N2.

საბინაო ფონდის და სხვა უძრავი ქონების არაკანონიერი დაკავების და გამოყენების აღკვეთის მიზნით, შეისწავლოს მოქმედი და ყოფილი მოსამსახურეების და უცხო პირების მიერ სამსახურებრივი ბინების უკანონოდ დაკავების თითოეული ფაქტი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

რეკომენდაცია N3.

უზრუნველყოს ბალანსზე რიცხული და საზღვრის დაცვის მიზნებისათვის აუცილებელი უძრავი ქონების საჯარო რეესტრში დარეგისტრირების პროცესი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ქონების შეთანხმების გარეშე გასხვისების ფაქტები.

რეკომენდაცია N4.

სახელმწიფო ქონების რაციონალური მართვისა და დაცვის უზრუნველსაყოფად, განახორციელოს ფაქტობრივი მოსარგებლეებისათვის იმ ქონების ოფიციალური გადაცემა და ბალანსიდან ჩამოწერა, რომელსაც წლების განმავლობაში ფლობენ და იყენებენ შსს-ს დაქვემდებარებაში არსებული სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფები.

რეკომენდაცია N5.

სახელმწიფო ქონების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, განიხილოს ჩამოწერილი შენობა-ნაგებობების დაშლისა და მიღებული მასალების დანიშნულებისამებრ გამოყენების ოპტიმალური შესაძლებლობები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და აღნიშნულ პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობებთან და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობის საკითხი.

რეკომენდაცია N6.

სასაზღვრო პოლიციაზე დაკისრებული ფუნქციების სათანადო დონეზე შესრულების უზრუნველსაყოფად და კონტროლის გარემოს გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს მთავრობასა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით:

- ✓ შეიმუშაოს უწყებისათვის საჭირო საფრენი აპარატებისა და მცურავი საშუალებების მოდერნიზაციის, განახლების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები.
- ✓ ხარჯთეფექტიანობის პრინციპების გათვალისწინებით, გადაწყვიტოს ისეთი აქტივების შემდგომი გამოყენების საკითხები, რომელთა გარემონტება არსებული მდგომარეობით არარენტაბელურია;
- ✓ უზრუნველყოს სახანძრო-სამაშველო ოპერაციებისა და ე.წ. ლიტერული ფრენების შესაბამისი დოკუმენტური საფუძვლების შექმნა.

რეკომენდაცია N7.

შეიმუშაოს და დანერგოს კონტროლის ქმედითი მექანიზმები მცურავი საშუალებების ენერგეტიკული დანადგარების მიერ ფაქტობრივი მოხმარებული საწვავ-საპოხი მასალების ოდენობის სწორად განსაზღვრის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სასაზღვრო პოლიციას**რეკომენდაცია N8.**

შესაბამის უწყებებთან მჭიდრო კოორდინაციით უზრუნველყონ სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე რიცხული გამოუყენებელი იარაღის და საბრძოლო მასალების, ასევე სხვა სამხედრო დანიშნულების გამოუსადეგარი ქონების დროულად ჩამოწერა ან სხვა ფორმით განკარგვა. საჭიროების შემთხვევაში, განიხილონ მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობის საკითხი და განახორციელონ შესაბამისი პროცედურები ამ ცვლილებების ინიცირების თვალსაზრისით.

საქართველოს სასაზღვრო პოლიციას**რეკომენდაცია N9.**

სახმელეთო საზღვრის დაცვის მიმართულებით სამართალდარღვევის გამოვლენისა და აღკვეთის ეფექტიანობის ამაღლების, ასევე სასამსახურო ძალების შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით:

- ┌ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები ძალების რაოდენობის მატების მიმართულებით;
- ┌ დანერგოს კინოლოგიების მოტივირებისა და წახალისების სისტემა;

რეკომენდაცია N10.

ავტოპარკის ოპტიმიზაციისა და რაციონალური მართვის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი ნორმატიული აქტით განისაზღვროს საჭირო სატრანსპორტო საშუალებების სახეობები და რაოდენობები სასაზღვრო სექტორების მიხედვით და განხორციელდეს შესაბამისი ღონისძიებები ავტოპარკის შევსებისა და ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

რეკომენდაცია N11.

სამსახურეობრივი ავტომატების არადანიშნულებისამებრ გამოყენების და საწვავის არამიზნობრივი ხარჯვის პრევენციის მიზნით, შეიმუშაოს და დანერგოს შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს:

- J თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი ავტომატების შვებულებაში ყოფნის დროს გამოყენების, მათ შორის საწვავის ჩასხმის ფაქტების აღმოფხვრას;
- J საწვავის ზედმეტად ჩამოწერის პრევენციას, განსაკუთრებით სატვირთო და სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებებზე.

რეკომენდაცია N12.

პროდუქტიულობის უზრუნველსაყოფად, გაატაროს ქმედითი ღონისძიებები სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან ვარგისი, მაგრამ გამოუყენებელი მცირეფასიანი ინვენტარისა და მატერიალური მარაგების, შემდგომი განკარგვის მიზნით. საჭიროების შემთხვევაში, მიმართოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, შიდა ნორმატიულ ბაზაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობის დასაბუთებით.

რეკომენდაცია N13.

კვების ნორმების რაციონალიზაციისა და საბიუჯეტო სახსრების ეკონომიური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, განიხილოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2014 წლის 17 იანვრის N7 ბრძანებაში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობის საკითხი ძირითადი პროდუქტის სხვა პროდუქტით შეცვლის, ნორმების, სანივთე ქონების გაცემის ვადებისა და სხვა მნიშვნელოვანი ნიუანსების დაზუსტებისა და დაკონკრეტების თვალსაზრისით.

რეკომენდაცია N14.

ყოველწლიური სავალდებულო ინვენტარიზაციის ეფექტიანად ჩატარების მიზნით:

- J ცენტრალურ აპარატში შექმნილი მუდმივმოქმედი (ცენტრალური) საინვენტარიზაციო კომისიის მიერ შერჩევით განხორციელდეს საბალანსო ერთეულებში შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიების მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის მიმდინარეობის ან/და შედეგების გადამოწმება;
- J ინვენტარიზაციის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს აქტივების გამოვლენის საკითხს, რომელთაც ორგანიზაციისათვის არ მოაქვს ეკონომიკური სარგებელი და დროულად მიიღოს გადაწყვეტილება მათი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგვის თაობაზე.

რეკომენდაცია N15.

სახელმწიფო შესყიდვების რაციონალურად და ეკონომიურად განხორციელების მიზნით:

- J შეიმუშაოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს შესყიდვების გეგმის შესაბამისობას დამტკიცებული ასიგნებების მოცულობასთან და სახელმწიფო შესყიდვების პროცესში პრიორიტეტულობის დაცვას;
- J შესყიდვების პროცესი დაიგეგმოს და განხორციელდეს დროულად, რათა მოხდეს მესაზღვრეებისათვის ნორმით გათვალისწინებული სანივთე ქონების დადგენილ ვადაში მიწოდება.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.
აუდიტორის პასუხისმგებლობა	აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – სასაზღვრო პოლიციის აქტივების მართვასა და სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს. აუდიტის ანგარიშში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.
აუდიტის საგანი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის აქტივების მართვა და სახელმწიფო შესყიდვები
აუდიტის მასშტაბი	აუდიტმა მოიცვა 01.01.2019 – 31.12.2020 წლების პერიოდი

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

-)/ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის N82 დადგენილებით დამტკიცებული დებულება „საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის N302 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის N386 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესი“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 მარტის N226 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგია“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ივლისის N321 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხისა და შესყიდვების განხორციელების წესი“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 მარტის N197 ბრძანებულებით დამტკიცებული „გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი ან დაკარგული შეიარაღებისა და ტექნიკის, სამხედრო ტექნიკური და საბრძოლო მასალების ნომენკლატურაში შემავალი და სხვა ქონების ჩამოწერისა და აღრიცხვიდან მოხსნის დებულება“;
-)/ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 27 მარტის N393 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში გამოუსადეგარ მდგომარეობამდე მიყვანილი, გამოუყენებელი ან დაკარგული ქონების ჩამოწერისა და აღრიცხვიდან მოხსნის შესახებ“;

-)/ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 21 ივნისის N786 ბრძანებით დამტკიცებული „საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დებულება“;
-)/ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N1005 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის შეიარაღებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ტექნიკის ნუსხა“;
-)/ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N1013 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სისტემაში იარაღის ბრუნვისა და მისი კონტროლის ინსტრუქცია“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“;
-)/ სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2014 წლის 17 იანვრის N7 ბრძანებით დამტკიცებული „შს სსდ სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა სანივთე ქონებით უზრუნველყოფისა და საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა და სასამსახურე ცხოველების სასურსათო უზრუნველყოფის ნორმები“;
-)/ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2017 წლის 26 ივნისის N201 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვის, ტექნიკური მომსახურებისა და ექსპლუატაციის შესახებ“;
-)/ სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2017 წლის 5 აპრილის N75 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცების თაობაზე“;
-)/ სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2015 წლის 29 ივლისის N228 ბრძანებით განსაზღვრული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საფრენი აპარატებისათვის საავიაციო საწვავისა და ზეთების ხარჯვის ნორმები“;
-)/ სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2014 წლის 21 აგვისტოს N264 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მცურავი საშუალებების წლიური მოტორესურსებისა და სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ენერგეტიკული დანადგარების საწვავ-საპოხი მასალების ხარჯვის ნორმები“ და მასში შეტანილი ცვლილებები;
-)/ სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2018 წლის 29 ივნისის N208 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებებისა და სპეციალური ტექნიკის საწვავის ყოველთვიური ლიმიტისა და ზოგიერთი დანართის შესახებ“;
-)/ სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2019 წლის 15 თებერვლის N039 ბრძანებით დამტკიცებული „გახარჯული საბრძოლო მასალებისა და სასწავლო-საიმიტაციო საშუალებების ჩამოწერის წესი“;

-)/ სასაზღვრო პოლიციის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 23 თებერვლის N53 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურულ ერთეულებში სამსახურებრივი სარგებლობის ჟურნალების, ბარათებისა და უწყისების ფორმები“ (შეტანილია ცვლილება 2019 წლის 18 ნოემბრის N364 ბრძანებით);
-)/ სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2020 წლის 2 ივნისის N184 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სასაზღვრო პოლიციის კინოლოგიური საქმიანობის წესი“.
-)/ სასაზღვრო პოლიციის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“;
-)/ შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები;

აუდიტის მიზანი

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად და შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

-)/ აუდიტის ობიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მონაცემთა ბაზების ანალიზი;
-)/ დოკუმენტური შემოწმება და დაკვირვება;
-)/ ანალიტიკური პროცედურები;
-)/ ხელახალი გაანგარიშება;
-)/ ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან;
-)/ ადგილზე დათვალიერება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

სასაზღვრო პოლიცია არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სპეციალური სამსახური და სამართალდამცავი ორგანო, საქვეუწყებო დაწესებულების სტატუსით, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე.

სასაზღვრო პოლიციის ძირითადი ამოცანებია:

- საზღვრის დაცვა, სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის, სახელმწიფოს, მოქალაქეთა და მათი ქონების უსაფრთხოების დაცვა;
 - კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში, საქართველოს საზღვაო სივრცესა და იურისდიქციას დაქვემდებარებულ გემებზე;
 - სასაზღვრო ინციდენტების, სამხედრო ან სხვა სახის აგრესიის, ტერორისტული აქტების თავიდან აცილება და მოგერიება;
 - ზღვის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება;
 - საქართველოს ნავსადგურების დაცვა და უსაფრთხოება;
- სასაზღვრო პოლიციის განსაკუთრებული ამოცანებია:
- დაეხმაროს სხვა უწყებებს სტიქიური უბედურებების, კატასტროფების ან სხვა განსაკუთრებული საფრთხის დროს;
 - შეასრულოს საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს ეროვნული თავდაცვის ვალდებულება.

განსაკუთრებულ შემთხვევაში, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს მაღალი რანგის თანამდებობის და მათი თანმხლები პირების საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირება.

საომარი მდგომარეობის დროს სასაზღვრო პოლიცია გადადის საქართველოს თავდაცვის ძალების შემადგენლობაში. სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად, სასაზღვრო პოლიციის შემადგენლობაშია: სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველო, სანაპირო დაცვის დეპარტამენტი, სწრაფი რეაგირების მთავარი სამმართველო და სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი, რომელსაც ექვემდებარება სასაზღვრო პოლიციის 10 სამმართველო.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 აქტივების მართვა

2.1.1 უძრავი ქონება

განვითარების სტრატეგიული გეგმის არარსებობა

სასაზღვრო პოლიციას თავისი ფუნქციების შესასრულებლად გააჩნია მნიშვნელოვანი ოდენობის და ღირებულების აქტივები, რომლებიც განთავსებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე (ძირითადად საზღვრებზე), მათ შორის, რთულად მისადგომ ადგილებში, რის გამოც პრობლემურია მათი მართვა და დაცულობაზე სრულყოფილი კონტროლი. აღნიშნული ქონების მართვაში დაფიქსირდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები. კერძოდ:

სასაზღვრო პოლიციის ბოლო წლების საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებში გათვალისწინებულია ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის, უძრავი ქონების საკითხები, თუმცა ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიული გეგმა ვერ წარმოგვიდგინეს.

ერთიანი სტრატეგიული გეგმის არარსებობის გამო, ვერ ხორციელდება გამოუყენებელი და არასაჭირო აქტივების რაციონალური მართვა.

უძრავი ქონების ნაწილი თავისი მდებარეობით, პარამეტრებით და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლებით, ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება იმ საჭიროებებსა და მიზნებს,⁵ რაც აღნიშნულ უწყებას გააჩნია. ქონების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველსაყოფად, საჭიროა არსებობდეს უწყების სტრატეგიული ხედვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს გამოუყენებელი ან/და არასაჭირო აქტივების მართვა. სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელობა ვალდებულია დასახული მიზნების მისაღწევად შეიმუშაოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და პროგრამები, აგრეთვე ჩამოაყალიბოს შიდა კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს აქტივების დაცვას დაკარგვისაგან, არამართლზომიერი გამოყენებისაგან ან მართვისგან და დაზიანებისაგან.⁶

ამასთანავე, სასაზღვრო პოლიციის საყაზარმო და საბინაო ფონდის ექსპლუატაციას და დადგენილი წესის მიხედვით, საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვა-განაწილებას აკონტროლებს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სამმართველო,⁷ ხოლო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის სარგებლობაში გადაცემა საჯარო რეესტრში უნდა დაარეგისტრირდეს იმ სახელმწიფო ორგანომ, რომელსაც სარგებლობაში გადაეცა ეს ქონება.⁸

აუდიტის პერიოდში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ძირითადად ხდებოდა აშშ-ის თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) მიერ

⁵ სასაზღვრო პოლიციის ქონების ნაწილი წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის სასაზღვრო ჯარების საკუთრებას, ამიტომ ამ ქონების რაოდენობა და პარამეტრები განსაზღვრული იყო საბჭოთა კავშირის საჭიროებებისთვის და არ შეესაბამება დღევანდელ მოთხოვნებს.

⁶ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „დ“ პუნქტი და მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁷ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 21 ივნისის N786 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეყნურო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დებულების“ მე-14 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი.

⁸ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

განხორციელებული პროექტების მეშვეობით. აუდიტის პერიოდში სასაზღვრო პოლიციას გადაეცა DTRA-ს მიერ ბოლო წლებში აშენებული და აღჭურვილი 10 სასაზღვრო სექტორი.⁹ შედეგად, ძირითადად უფუნქციოდ დარჩა აღნიშნული სექტორების ძველი შენობა-ნაგებობები, რომელთა შემდგომი გამოყენების საკითხი პრობლემურია და უწყებს არ გააჩნია ქონების შემდგომი განკარგვის გეგმა. მაგალითად:

- ✓ სასაზღვრო პოლიციის N3 სამმართველოს ბალანსზე ირიცხება 1640 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი¹⁰ და მასზე განთავსებული საცხოვრებელი სახლი, რომელიც სასაზღვრო პოლიციის მიერ შესყიდულია 2013 წელს და გამოიყენებოდა როგორც კასუმლოს სასაზღვრო სექტორის ადმინისტრაციული შენობა. არსებული მდგომარეობით, სასაზღვრო სექტორი განთავსებულია აღნიშნული სახლის მიმდებარედ, DTRA-ს მიერ აშენებულ, თანამედროვე შენობაში, რის გამოც სახლი უფუნქციოდ არის დარჩენილი, თუმცა მისი პრივატიზება რისკების შემცველია სასაზღვრო სექტორის უსაფრთხოების თვალსაზრისით და მისი შემდგომი განკარგვა უნდა განხორციელდეს აღნიშნულის გათვალისწინებით.
- ✓ ზემოაღნიშნული სამმართველოს ბალანსზე ირიცხება ყოფილი საქართველოს სასაზღვრო ჯარების კუთვნილი, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ სადახლოში არსებული, ამორტიზებული, დანგრეული და შესაბამისად გამოუყენებელი, სამი ერთეული შენობა-ნაგებობა¹¹.
- ✓ სასაზღვრო პოლიციის N1 სამმართველოს ბალანსზე ირიცხება შუახევის მუნიციპალიტეტში ს/ს ჩირუხში მდებარე ე.წ. ოფიცერთა საცხოვრებელი კორპუსი¹², რომელიც მათ აღარ ესაჭიროებათ, რადგან DTRA-ის მიერ აშენებულია ახალი, თანამედროვე შენობა.

ამორტიზებული და გამოუყენებელი შენობა-ნაგებობები

უწყების კუთვნილი შენობა-ნაგებობების გარკვეული ნაწილი ამორტიზებული და გამოუყენებელია. მაგალითად:

- ✓ ცენტრალური აპარატის ბალანსზე ირიცხება უწყების იურიდიულ მისამართზე¹³ რეგისტრირებული 9179 კვ.მ მიწის ნაკვეთი¹⁴ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები. მათ შორისაა, 3-სართულიანი კაპიტალური შენობა-ნაგებობა (შენობა N1), რომლის ძირითადი ნაწილი გამოუყენებელია, მაშინ როდესაც უწყება საოფისე ფართის ნაკლებობას განიცდის. აღნიშნულ შენობაში, გასულ წლებში შეჭრილი იყვნენ და ცხოვრობდნენ უცხო პირები, ხოლო ფართის გამოთავისუფლების შემდეგ, შენობას ესაჭიროება კაპიტალური რემონტი.¹⁵
- ✓ ზემოაღნიშნულ ნაკვეთზე განთავსებულ შენობაში (შენობა N7), მოწყობილია სპორტდარბაზი, რომელსაც ესაჭიროება კაპიტალური რემონტი და ასევე არ გამოიყენება დანიშნულებისამებრ.

⁹ „ჩირუხი“, „ჯუთა“, „თრუსო“, „ლევისყურე“, „ხრიანი“, „კატნატუ“, „სამება“, „იორი“, „კასუმლო“ და „გუგუთი“.

¹⁰ ს.კ. - 83.12.14.245; ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 42,856.76 ლარი.

¹¹ აბანო, საწყობი და ერთსართულიანი საუწყებო სახლი ჯამური საბალანსო ღირებულებით - 8,977.18 ლარი.

¹² საბალანსო ღირებულებით - 82.2 ათასი ლარი.

¹³ ქ. თბილისი, სიმონ კანდელაკის ქ. N12.

¹⁴ ს.კ. - N 01.10.14.003.014.

¹⁵ შენობის პირველი სართულის ნაწილი გამოყენებულია საწყობებად, თუმცა მოწყობილი არ არის ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები, რაც მნიშვნელოვანი რისკების შემცველია.

- ✓ ამავე ტერიტორიაზე უწყებას ერიცხება 650 კვ.მ-ზე მეტი საერთო ფართობის ამორტიზებული, გამოუყენებელი ავტოფარეხები, (შენობა N6), რომელთა საექსპლუატაციო მედეგობა, ექსპერტის¹⁶ დასკვნის თანახმად, საგრძნობლად დაქვეითებულია. შენობის აღდგენა არარენტაბელური იქნება, ამიტომ საჭიროებს დემონტაჟს, რაც ამ ეტაპზე დაგეგმილი არ არის.
- ✓ სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ბალანსზე ირიცხება 397.2 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების 20 ერთეული შენობა-ნაგებობა, რომელთა ექსპლუატაცია ექსპერტის დასკვნით,¹⁷ არ არის მიზანშეწონილი და საჭიროა სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.
- ✓ ავარიულ მდგომარეობაშია ამავე დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს¹⁸ (ქ.ფოთში), ასევე ოპერაციების მართვის მეორე სამმართველოს¹⁹ (ქ.ბათუმში) და შეიარაღების საწყობის შენობები,²⁰ რომელთა მშენებლობა დაგეგმილი იყო 2020 წლისათვის, მაგრამ დღემდე ვერ განხორციელდა. აუდიტის ობიექტის განმარტებით, მიმდინარე წელს არსებულ შეიარაღების საწყობში მოწესრიგდა სავენტილაციო პირობები, ასევე შეიარაღება და საბრძოლო მასალები განთავსდა დაცულ კონტეინერებში.
- ✓ სპეციალური დანიშნულების ავიაციის სამმართველოს განკარგულებაშია სამსართულიანი, შემდგომი ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი შენობა,²¹ თუმცა მასზე აღდგენითი-სარემონტო სამუშაოების ჩატარება შესაძლებელია. შენობაში სარეკონსტრუქციო აღდგენითი სამუშაოები უნდა განხორციელდეს პროექტის შესაბამისად. წლების განმავლობაში აღნიშნული შენობის სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებულა, რის გამოც მისი მდგომარეობა, ვიზუალური დათვალიერებით, გაუარესებულია და შემდგომი განკარგვის საკითხი გადაწყვეტილი არ არის.

საცხოვრებელი ბინების მართვის ნაკლოვანებები

სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე ირიცხება სამსახურებრივი დანიშნულების საცხოვრებელი ბინები, რომლებიც განთავსებულია, როგორც საზღვრისპირა ტერიტორიებზე, ისე ქალაქებში (თბილისი, ბათუმი, ფოთი და ა. შ.) აღნიშნული ბინების ნაწილი უკვე პრივატიზებულია, თუმცა კვლავ ირიცხება ბალანსზე, ნაწილი გამოუყენებელია, ნაწილი კი დაკავებულია სხვადასხვა პირის, მათ შორის, უწყების ყოფილი ან მოქმედი თანამშრომლების მიერ. აქედან, ნაწილს გააჩნია გასულ წლებში შესაბამისი კომისიის მიერ გაცემული სათანადო დოკუმენტი, ნაწილი კი თვითნებურადაა შესახლებული საუწყებო ბინებში. ამასთანავე, რამდენიმე შემთხვევაში უწყების კუთვნილი საცხოვრებელი ფართი, წლების მანძილზე დაკავებული აქვთ უცხო პირებს, შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე. უკანონოდ დაკავებული ფართების გამოსათავისუფლებლად არ ხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული რეაგირება. მაგალითად:

¹⁶ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 6 თებერვლის N690920 დასკვნა.

¹⁷ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 13 ოქტომბრის N5005552017 დასკვნა.

¹⁸ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 27 ივნისის N500246413 დასკვნით შენობის ტექნიკური მდგომარეობა არაადაკმაყოფილებელია და მისი აღდგენა-გამდიდრება არარენტაბელურია.

¹⁹ შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის 2016 წლის 11 თებერვლს Nინ-62 დასკვნით შენობის მარჯვენა ფლიგელი ავარიულ მდგომარეობაშია და უვარგისია შემდგომი ექსპლუატაციისათვის.

²⁰ იატაკი პრაქტიკულად მიწისაა, სახურავიდან ჩამოდის ნალექები და შენობა ნესტიანია.

²¹ ექსპერტის დასკვნით, დაზიანებული ოყო ჭერი, თუმცა არ აღენიშნებოდა ჯდენითი და სხვა დეფორმაციული ზზარები.

- ✓ ცენტრალური აპარატის ბალანსზე 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა ქ. თბილისში მდებარე 7 საცხოვრებელი ბინა, რომელთაგან 5 ბინაში, შეჭრილი არიან უცხო პირები, რომლებიც არაკანონიერად იყენებენ სასაზღვრო პოლიციის ქონებას, თუმცა შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება არ განხორციელებულა²².
- ✓ N1 სამმართველოს (ბათუმი) ბალანსზე ირიცხება ქ. ბათუმში არსებული 5 საცხოვრებელი ბინა, საიდანაც 4 დაკავებული აქვთ ყოფილ თანამშრომლებს. აღნიშნული ბინები, აჭარის რეგიონალური სამმართველოს დროებითი საბინაო კომისიის 2003-2005 წლების შესაბამისი დადგენილებებით, დროებით სარგებლობაშია გადაცემული ზემოხსენებულ თანამშრომლებზე, თუმცა სამსახურიდან გათავისუფლებულ თანამშრომლებს ბინები არ დაუბრუნებიათ. სასაზღვრო პოლიციის მხრიდან აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით სამართლებრივი რეაგირება არ განხორციელებულა. აღსანიშნავია, რომ აუდიტის პერიოდში სასაზღვრო პოლიციის მიერ ქ. ბათუმში, ბინები იყო დაქირავებული სხვადასხვა ვადით.²³ თითოეული ბინის ქირავნობის ყოველთვიური საშუალო ფასი შეადგენდა 500-700 ლარს.²⁴
- ✓ ზემოაღნიშნული სამმართველოს (ბათუმი) ბალანსზე ირიცხება ხელვაჩაურის რაიონის სოფ. სარფში არსებული 536 კვ.მ საერთო ფართის საცხოვრებელი სახლი,²⁵ რომელიც განთავსებულია 1210 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (საბალანსო ღირებულება - 17.1 ათასი ლარი). სახლი შედგება 8 ბინისგან, საიდანაც 3 დაკავებული აქვთ მოქმედ, დანარჩენი 5 კი - ყოფილ თანამშრომლებს. აღნიშნული ბინები, აჭარის რეგიონალური სამმართველოს დროებითი საბინაო კომისიის 2003-2005 წლების შესაბამისი დადგენილებებით, დროებით სარგებლობაშია გადაცემული ზემოხსენებულ თანამშრომლებზე, თუმცა სამსახურიდან გათავისუფლებულ თანამშრომლებს ბინები არ დაუბრუნებიათ. სასაზღვრო პოლიციის მხრიდან აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით სამართლებრივი რეაგირება არ არის განხორციელებული.²⁶
- ამავე სამმართველოს ბალანსზე ირიცხება ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ჭარნალში არსებული 104 კვ.მ ე.წ ყაზარმა N01,²⁷ სადაც წარმოდგენილი ინფორმაციით, საბინაო კომისიის გადაწყვეტილებით ცხოვრობს ყოფილი თანამშრომელი, თუმცა ითვლება სამმართველოს ქონებად.
- ✓ სოფ. კირნათში მდებარე ექვსბინიან ე.წ ოფიცერთა სახლში,²⁸ საბინაო კომისიის გადაწყვეტილებით ცხოვრობენ ყოფილი თანამშრომლები, მათ შორის, 3 ბინა, შსს-ს შესაბამისი კომისიის²⁹ გადაწყვეტილების საფუძველზე, ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2021 წელს არის პრივატიზებული სიმბოლურ ფასად.

²² დარჩენილი 1 ბინა პრივატიზებულია, ხოლო 1 ბინაში ცხოვრობს ყოფილი სასაზღვრო ჯარების ყოფილი თანამშრომელი, რომელიც ითხოვს ბინის საკუთრებაში მიღებას. აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობს სასამართლო დავა.

²³ N1 სამმართველოს (ბათუმი) 2 და სანაპირო დაცვის დეპარტამენტის 6 თანამშრომლისათვის.

²⁴ აღსანიშნავია, რომ სასაზღვრო პოლიციის 1 საცხოვრებელი ბინა რამდენიმე წლის განმავლობაში დაკეტილია და არ გამოიყენება სამსახურებრივი დანიშნულებით.

²⁵ ს.კ. - 22.30.02.035.

²⁶ რეგისტრირებულია, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრება, სარგებლობის უფლება უწყებას დარეგისტრირებული არ აქვს.

²⁷ ს.კ. - 22.29.02.007.

²⁸ ს.კ. - 22.32.01.895.

²⁹ შსს-ს 2016 წლის 10 თებერვლის N19 ბრძანებით შექმნილი შსს-ს ბალანსზე რიცხული ქონების მართვის, განკარგვისა და დროებით სარგებლობაში გადაცემის საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის 2018 წლის 18 დეკემბრის და 2019 წლის 7 ივნისის სხდომები.

- ✓ N3 სამმართველოს (წითელი ხიდი) ბალანსზე ირიცხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოში მდებარე საცხოვრებელი სახლი,³⁰ რომელიც წლების განმავლობაში, შესაბამისი დოკუმენტების გარეშე, გამოიყენება უცხო პირის მიერ.
- ✓ N2 სამმართველოს (ახალციხე) ბალანსზე ირიცხება ქ. ნინოწმინდაში, არსებული 18-ბინიანი 806,55 კვ.მ. საერთო ფართის საცხოვრებელი ნაგებობა, საიდანაც ოთხი ბინა დაკავებულია - 1 მოქმედი და - 3 ყოფილი თანამშრომლის მიერ. დანარჩენი ბინები თავისუფალია და გამოყენების სტრატეგია არ არის შემუშავებული.
- ✓ სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ბალანსზე ირიცხება ქ. ფოთში არსებული 4 საცხოვრებელი ბინა, საიდანაც ერთი, შესაბამისი საფუძვლის გარეშე, დაკავებული აქვს დევნილის სტატუსის მქონე მოქალაქეს, დანარჩენი სამი კი, წლების წინ არის პრივატიზებული და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით უკვე კერძო საკუთრებას წარმოადგენს.
- ✓ ამავე დეპარტამენტის ბალანსზე ირიცხება ქ. ბათუმში, არსებული შენობა და მასზე დამაგრებული 829 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, რომელიც წლების განმავლობაში არ გამოიყენება და შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტის გარეშე აქვს დაკავებული უწყების მოქმედ თანამშრომელს.

არარეგისტრირებული უძრავი ქონება

სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ნაწილი არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში³¹. მაგალითად:

- ✓ 2016 წელს, სასაზღვრო პოლიციას სარგებლობაში გადაეცა მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბეთარაბში არსებული 2157 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი³² და მასზე განთავსებული 40 კვ.მ ფართის შენობა-ნაგებობა. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე აშშ-ის სააგენტო DTRA-ს მიერ კასუმლოს სასაზღვრო სექტორის განსათავსებლად იქნა აშენებული შენობა,³³ რომელიც 2019 წელს ბალანსზე გადაეცა სასაზღვრო პოლიციის N3 სამმართველოს, თუმცა საჯარო რეესტრში ჯერ არ არის რეგისტრირებული.
- ✓ სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატის ბალანსზე ირიცხება ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეკარში არსებული 3431 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული 5 ერთეული შენობა-ნაგებობით, რომელიც უწყებას არ ესაჭიროება და არ იყენებს. მასზე არ არის დარეგისტრირებული სასაზღვრო პოლიციის სარგებლობის უფლება. ობიექტი მიტოვებულია და კარგავს საექსპლუატაციო მდგომარეობას.
- ✓ ცენტრალური აპარატის ბალანსზე ირიცხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრმაღელეში არსებული 20591 კვ.მ. მიწის ნაკვეთი,³⁴ მასზე განთავსებული 11 ერთეული შენობა-ნაგებობით,³⁵ რომელსაც უწყება არ იყენებს. მასზე არ არის დარეგისტრირებული სასაზღვრო პოლიციის სარგებლობის უფლება. მიუხედავად ამისა, უწყებამ 2020 წლის 17 ნოემბერს

³⁰ ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 1.9 ათასი ლარი.

³¹ 2021-2022 წლებში აღნიშნული პროცესი გააქტიურდა.

³² ს.კ. - 83.12.14.485.

³³ საბალანსო ღირებულება - 620,336.5 ლარი.

³⁴ ს.კ. - 27.16.41.465.

³⁵ შტაბ-ყაზარმა, ადმინისტრაციული შენობა, საწყობები და ა.შ. ჯამური საბალანსო ღირებულებით - 21.5 ათასი ლარი;

მიმართა³⁶ ქონების ეროვნულ სააგენტოს, აღნიშნული ქონებით სარგებლობის უფლებით დარეგისტრირების თაობაზე, რაზეც უარი მიიღო³⁷ იმ მოტივით, რომ ქონება წარმოადგენს მნიშვნელოვან საპრივატიზაციო ობიექტს და სამომავლოდ იგეგმება მისი პრივატიზება. აღსანიშნავია, რომ ქონების გასხვისების გადაწყვეტილება, სააგენტომ სასაზღვრო პოლიციის თანხმობის გარეშე მიიღო, ხოლო საზღვრის დაცვის მიზნებისთვის აღნიშნული ქონების საჭიროების შესახებ მსჯელობა და კომუნიკაცია არ შემდგარა.³⁸

სხვა სახელმწიფო უწყებების მიერ სასაზღვრო პოლიციის ქონებით სარგებლობა
ზოგიერ შემთხვევაში უწყების ქონებით წლების განმავლობაში სარგებლობს შს-ს დაქვემდებარებაში არსებული სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფი ისე, რომ არ განხორციელებულა ქონების ოფიციალური გადაცემა და მისი ბალანსიდან ჩამოწერა. მაგალითად:

- ✓ ცენტრალური აპარატის ბალანსზე 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხება (თბილისში, ქიზიყის ქ. N1) 134.4 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების 10 ერთეული შენობა-ნაგებობა, რომლითაც 2007 წლიდან სარგებლობს შს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი.
- ✓ N4 სამმართველოს (დედოფლისწყარო) ბალანსზე 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ირიცხება 26.3 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების 6 ერთეული ქონება, რომელსაც იყენებს შს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი.

ჩამოწერილი შენობა-ნაგებობების დემონტაჟის პრობლემა

მოქმედი კანონმდებლობით ჩამოწერას ექვემდებარება გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი და გამოუყენებელი შენობა-ნაგებობები.³⁹ ჩამოწერის შემდგომ მათი დაშლა უნდა განხორციელდეს სამინისტროს ან საბალანსო ერთეულის საამისოდ უფლებამოსილი სამსახურების მიერ,⁴⁰ ხოლო დემონტაჟის შედეგად მიღებული მასალები შემოსავალში იქნეს აღებული.

უწყების ბალანსზე ირიცხება დიდი ოდენობის ამორტიზებული (ზოგიერთი შემთხვევაში ნანგრევებად ქცეული), აგრეთვე ჩამოწერილი და გამოუყენებელი შენობა-ნაგებობები, დაუმთავრებელი მშენებლობა და სხვა უძრავი ქონება, რომელთა გამოყენება დიდი ალბათობით ვერ განხორციელდება. მაგალითად:

- ✓ N1 სამმართველოს (ბათუმი) ბალანსზე ირიცხება ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ხოფქოში არსებული 168 კვ.მ. ფართის საცხოვრებელი სახლი,⁴¹ რომელიც ამორტიზებულია. აღნიშნული სამმართველოს ბალანსზე რიცხული, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში არსებული შენობა-ნაგებობების დიდი ნაწილი ამორტიზებულია, მათგან ნაწილი დანგრეულია, რაც ფაქტობრივად გამოიწვევს მათი შემდგომი გამოყენების შესაძლებლობას.

³⁶ წერილი N2694618.

³⁷ 2021 წლის 12 თებერვლის N5/6983 წერილი.

³⁸ 2021 წლის 5 თებერვალს, სააგენტომ სასაზღვრო პოლიციას N6/5298 წერილით აცნობა, რომ მიმდინარეობდა ადმინისტრაციული წარმოება აღნიშნული ქონების განკარგვის შესახებ და ყოველგვარი მოკვლევის გარეშე სთხოვა მისი ბალანსიდან მოხსნა.

³⁹ ადმინისტრაციული, საყაზარმო, სამინებელი, სასწავლო, სასადილო, შტაბი, კლუბი, სამკურნალო, ავტოფარები, საწყობი და სხვ.

⁴⁰ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 27 მარტის N393 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი, გამოუყენებელი ან დაკარგული ქონების ჩამოწერისა და აღრიცხვიდან მოხსნის დებულების“ მე-6 მუხლი.

⁴¹ 1.6 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით.

- ✓ უწყების ბალანსზე ირიცხებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სასაზღვრო ჯარების კუთვნილი ამორტიზებული ინფრასტრუქტურული ობიექტები,⁴² რომელთა ნაწილი ჩამოწერილია სხვადასხვა დროს, თუმცა დემონტაჟი არ განხორციელებულა. მაგალითად, სასაზღვრო პოლიციის N1 სამმართველოს (ბათუმი) ბალანსზე ირიცხებოდა 26 ერთეული სხვადასხვა სახის შენობა-ნაგებობა, რომლებიც 2010 წლამდეა ბალანსიდან ჩამოწერილი.
- ✓ N2 სამმართველოს (ახალციხე) ბალანსზე ფასის გარეშე არის აღრიცხული 114321 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი⁴³, რომელზეც საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით განთავსებულია სხვადასხვა დანიშნულების და ფართის 23 ერთეული შენობა-ნაგებობა. აქედან, N2 სამმართველოს ბალანსზე აღრიცხულია მხოლოდ 4 ერთეული შენობა-ნაგებობა, დანარჩენი კი, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ჩამოწერილია გასულ წლებში, მაგრამ ვერ იქნა უზრუნველყოფილი მათი დაშლა.

დასკვნა

უწყებას არ აქვს შემუშავებული ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ერთიანი სტრატეგიული გეგმა. შესაბამისად, არ არის ჩამოყალიბებული მიდგომა მის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული, გამოუყენებელი, ან/და არასაჭირო აქტივების შემდგომი განკარგვის შესახებ.

შენობა-ნაგებობების გარკვეული ნაწილი ამორტიზებული და გამოუყენებელია, თუმცა წლების განმავლობაში ვერ ხორციელდება მათი რეაბილიტაცია, გარემონტება და ფუნქციური დატვირთვა. უწყება ვერ უზრუნველყოფს ჩამოწერილი შენობა-ნაგებობების დაშლას და მიღებული მასალების დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

გარკვეულ შემთხვევებში თანამშრომლები ავარიულ და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ გარემოში მუშაობენ. ავარიული მდგომარეობიდან გამომდინარე, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის იარაღის საწყობში შეუძლებელია შეიარაღებისა და საბრძოლო მასალის შენახვის წესების დაცვა, შესაბამისად, არსებობს ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების დაზიანების რისკები.

სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე ირიცხება სამსახურებრივი დანიშნულების საცხოვრებელი ბინები, რომლებიც განთავსებულია, როგორც საზღვრისპირა ტერიტორიებზე, ასევე ქალაქებში (თბილისი, ბათუმი, ფოთი და ა.შ). აღნიშნული ბინების ნაწილი უკვე პრივატიზებულია, თუმცა კვლავ ირიცხება ბალანსზე, ნაწილი გამოუყენებელია, ნაწილი კი დაკავებულია სხვადასხვა პირის მიერ, მათ შორის, უწყების ყოფილი ან მოქმედი თანამშრომლების მიერ, რომელთაგან გარკვეულ პირებს გააჩნიათ გასულ წლებში შესაბამისი კომისიის მიერ გაცემული სათანადო დოკუმენტი, ნაწილი კი თვითნებურად არის შესახლებული ბინებში. ამასთანავე, რამდენიმე შემთხვევაში უწყების კუთვნილი საცხოვრებელი ფართი წლების მანძილზე დაკავებული აქვთ უცხო პირებს, შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე. უკანონოდ დაკავებული ფართების გამოსათავისუფლებლად არ ხორციელდება კანონმდებლობით

⁴² ყაზარმა, საწყობი, აბანო, საცხოვრებელი სახლი, საძაღლე და ა.შ.

⁴³ ს.კ. - 62.09.60.925.

გათვალისწინებული რეაგირება.

ზემოაღნიშნული გარემოებები ხელს უშლის ქონების დანიშნულებისამებრ გამოყენების პერსპექტივას და სახელმწიფო ქონების მისაკუთრების წინაპირობებს წარმოშობს.

წლების განმავლობაში სრულყოფილად ვერ ხორციელდება ბალანსზე რიცხულ ქონებაზე სარგებლობის უფლების რეგისტრაცია. აღნიშნული საქმიანობა 2009 წლიდან მიმდინარეობს და შეძლებისდაგვარად მასშტაბური ხასიათი მხოლოდ ბოლო წლებში მიიღო, თუმცა აქტივების მრავალფეროვნება და მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე განთავსება აფერხებს პროცესის ეფექტიან განხორციელებას.

რეკომენდაცია N1

საქართველოს სასაზღვრო პოლიციას

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის ინტერესების/საჭიროებების და უსაფრთხოების ზომების გათვალისწინებით, ქონების მართვის რაციონალური პროცესის უზრუნველსაყოფად, სასაზღვრო პოლიციამ შეიმუშაოს უწყებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების და ბალანსზე რიცხული ქონების მართვის ერთიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს:

- 1) ბალანსზე რიცხული არასაჭირო ქონების სახელმწიფოსათვის დაბრუნების საკითხის გადაწყვეტას;
- 2) გამოუყენებელი, მაგრამ უწყებისათვის საჭირო აქტივების ნორმალურ საექსპლუატაციო მდგომარეობაში მოყვანისა და მათი რაციონალური გამოყენების საკითხებს;
- 3) აუცილებელი ინფრასტრუქტურის, ავტოსატრანსპორტო, მცურავი და საფრენი საშუალებების პარკების, სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების განვითარების სტრატეგიას.

რეკომენდაცია N2

საბინაო ფონდის და სხვა უძრავი ქონების არაკანონიერი დაკავების და გამოყენების აღკვეთის მიზნით, შეისწავლოს მოქმედი და ყოფილი მოსამსახურეების და უცხო პირების მიერ სამსახურებრივი ბინების უკანონოდ დაკავების თითოეული ფაქტი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

რეკომენდაცია N3

უზრუნველყოს ბალანსზე რიცხული და საზღვრის დაცვის მიზნებისათვის აუცილებელი უძრავი ქონების საჯარო რეესტრში დარეგისტრირების პროცესი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ქონების შეთანხმების გარეშე გასხვისების ფაქტები.

რეკომენდაცია N4

სახელმწიფო ქონების რაციონალური მართვისა და დაცვის უზრუნველსაყოფად, განახორციელოს ფაქტობრივი მოსარგებლეებისათვის იმ ქონების ოფიციალური გადაცემა და ბალანსიდან ჩამოწერა, რომელსაც წლების განმავლობაში ფლობენ და იყენებენ შსს-ს დაქვემდებარებაში არსებული სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფები.

რეკომენდაცია N5

სახელმწიფო ქონების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, განიხილოს ჩამოწერილი შენობა-ნაგებობების დაშლისა და მიღებული მასალების დანიშნულებისამებრ გამოყენების ოპტიმალური შესაძლებლობები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და აღნიშნულ პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობებთან და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობის საკითხი.

2.1.2 საფრენი აპარატები

დასაცავი ტერიტორიის საჰაერო მონიტორინგის ნაკლოვანება

დებულების⁴⁴ მიხედვით, ავიაციის მთავარი სამმართველოს ძირითადი ფუნქციები და ამოცანები მრავალფეროვანია, საიდანაც აღსანიშნავია სახელმწიფო საზღვრის, სასაზღვრო ზოლის, სასაზღვრო ზონის, საზღვაო სივრცის, საქართველოს მთელი ტერიტორიის კონტროლი და მონიტორინგი - ძებნა, საჰაერო თვალთვალი და პატრულირება.

არსებული მდგომარეობით, სასაზღვრო პოლიციაში არ არსებობს მცურავი და საფრენი საშუალებების პარკების განვითარების ერთიანი სტრატეგიული გეგმა. ასევე არ არის შემუშავებული მეთოდოლოგია, რომელიც დაარეგულირებს დასაცავი ტერიტორიის ჰაერიდან მონიტორინგის, კონტროლისა და პატრულირების მეთოდებს, სიხშირეს, ვადებსა და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს. აუდიტის პერიოდში, ორი წლის განმავლობაში, სამმართველოს მიერ განხორციელებული 382 გაფრენიდან (არასაიდუმლო), ტერიტორიის მონიტორინგის მიზნით შესრულდა 21 გაფრენა (5.5%). აქედან, საზღვაო სივრცის მონიტორინგი ჩატარდა მხოლოდ ერთხელ. საფრენი აპარატები ძირითადად გამოიყენება პირადი შემადგენლობის როტაციის განსახორციელებლად რთულად მისადგომ სასაზღვრო პოსტებზე. აუდიტის პერიოდში ამ მიზნით განხორციელებულია 144 გაფრენა (37.7%).⁴⁵

სასაზღვრო პოლიციას ერიცხება ორი ერთეული საფრენი აპარატი (დრონი), რომელიც საზღვრის საჰაერო მონიტორინგის თანამედროვე საშუალებას წარმოადგენს. აღნიშნული საფრენი აპარატებიდან, მხოლოდ ერთი გამოიყენება, რაც არასაკმარისია და ვერ უზრუნველყოფს ავიაციის მთავარი სამმართველოს ფუნქციების შესასრულებლად აუცილებელ წინაპირობას.

საფრენი აპარატების საექსპლუატაციო მზადყოფნის ნაკლოვანებები

სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელობა ვალდებულია შეიმუშაოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და პროგრამები, აგრეთვე ჩამოაყალიბოს შიდა კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს აქტივების დაცვას დაზიანებისაგან⁴⁶ და რაციონალურად გამოიყენოს საჯარო

⁴⁴ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2017 წლის 5 აპრილის N75 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველოს დებულების“ მე-5 მუხლის ა) და კ) ქვეპუნქტები.

⁴⁵ გარდა ამისა, 66 გაფრენა (17.3%) განხორციელდა სამაშველო სახანძრო დანიშნულებით, 34 სამოქალაქო (8.9%) მიზნებისათვის (მაღალმთიან რეგიონში მოსახლეობის გადაყვანა) და ა. შ.

⁴⁶ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი; მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

დაწესებულების ქონება.⁴⁷ ამასთანავე, ავიაციის მთავარ სამმართველოს მოქმედი დებულებით⁴⁸ ევალება საფრენი აპარატების გამართულობის უზრუნველყოფა. თითოეულ საფრენ აპარატს გააჩნია თავისი ტექნიკური ექსპლუატაციის სახელმძღვანელო, რომლის შესაბამისად უნდა ხორციელდებოდეს სარემონტო (სარეგლამენტო) სამუშაოები, თუმცა, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, არასაკმარისი დაფინანსების და შესაბამისი შემსრულებელი კომპანიის მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო ვერ ხერხდება ყველა საფრენი აპარატისათვის საჭირო სარემონტო სამუშაოების დროულად ჩატარება, რის გამოც რეგლამენტის შესაბამისად, იკრძალება მათი გამოყენება და არ ხორციელდება ექსპლუატაცია.

არსებული მდგომარეობით, უწყებაში არ არსებობს ჩამოყალიბებული საფრენი აპარატების პარკის ოპტიმიზაცია-მოდერნიზაციის სტრატეგია და შესაბამისი ბიუჯეტით ან/და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტებით გარანტირებული გეგმა-გრაფიკი. აქედან გამომდინარე, საფრენი აპარატების რემონტი ხორციელდება გადაუდებელი აუცილებლობისა და არსებული შესაძლებლობების მიხედვით, ნაცვლად წინასწარ გაწერილი, არგუმენტირებული სამოქმედო გეგმისა.

სასაზღვრო პოლიციის ავიაციის მთავარი სამმართველოს განკარგულებაში არსებული საავიაციო პარკი მოძველებულია და არადაამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

ცხრილი N1. ინფორმაცია საფრენი აპარატების შესახებ.

N	დასახელება	რაოდენობა	
		01.01.2019	18.03.2022
1	სულ საფრენი აპარატი	17	15
2	მათ შორის : თვითმფრინავი (სარემონტო)	2	2
3	შვეულფრენი	15	13
	აქედან: გამართული/მოქმედი	4	5
	უმოქმედო/სარემონტო	10	7
	მაკეტი	1	1

შენიშვნა: 2 უმოქმედო შვეულფრენი 2020 წელს გადაეცა თავდაცვის სამინისტროს

გაუმართაობის გამო არ გამოიყენება 1990 წლიდან ექსპლუატაციაში მყოფი, ორი ერთეული თვითმფრინავი.

ცხრილი N2 . ინფორმაცია თვითმფრინავების შესახებ.

N	საბაზრო ღირებულება (ათასი ლარი)	რესურსი სთ-ბში	ნაფრენი სთ-ები	დარჩენილი რესურსი	კალენდარული რესურსის ამოწურვის ვადა
1	434.1	3000	2114	886	27.04.2016
2	434.1	3000	2280	720	02.11.2012

საფუძველი: ექსპერტიზის დასკვნა⁴⁹

⁴⁷ „საქართველოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 76-ე მუხლი „მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ეკონომიურად და ეფექტიანად განხორციელება“.

⁴⁸ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველოს დებულების“ მე-5 მუხლის ე) ქვეპუნქტი.

⁴⁹ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 13 ნოემბრის N007475418 ექსპერტის დასკვნა.

აღნიშნული თვითმფრინავების კაპიტალური რემონტი, გარდა მნიშვნელოვანი საბიუჯეტო სახსრებისა, მოითხოვს სახელმწიფო ურთიერთობების დამყარებას რუსეთის ფედერაციის⁵⁰ შესაბამის საწარმოებთან, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის მათი კაპიტალური რემონტის განხორციელებას. სამმართველოს ეკუთვნის VIP კონფიგურაციის ტიპის 2 შვეულმფრენი, რომლებიც რემონტის საჭიროების გამო, ასევე არ გამოიყენება.

ცხრილი N3. ინფორმაცია გამოუყენებელი 2 შვეულმფრენის მდგომარეობის შესახებ

N	გამომ. წელი	მდებარეობა	შენიშვნა
1	2002	სამმართველოს ანგარი	2017 წლის თებერვალში უწყვედა ძრავების კაპიტალური რემონტი და 14 წლიანი ე.წ მთავარი ინსპექტირება, რაც არ განხორციელებულა
2	2013	ღია ცის ქვეშ სადგომი	გაუმართავია. ესაჭიროება ნაწილების შეძენა და ტექნიკური ინსპექტირების ჩატარება

სამმართველოს ხელმძღვანელობის აზრით⁵¹, სახელმწიფო ინტერესებისათვის უმჯობესია ზემოთ მითითებული თვითმფრინავების და, მინიმუმ, ერთი შვეულმფრენის რეალიზაცია.

სამმართველოს კუთვნილი ორივე თვითმფრინავი და 6 სარემონტო შვეულმფრენი წლების განმავლობაში განთავსებულია ღია ცის ქვეშ, რადგან სამმართველოს არ გააჩნია საკმარისი ფართის და აღჭურვილობის ანგარი, სადაც შესაძლებელი იქნება განთავსდეს აღნიშნული საფრენი აპარატები, კლიმატური პირობების მავნე ზეგავლენის შესამცირებლად. ამასთანავე, გამოუყენებელ საფრენ აპარატებს სისტემატურად უტარდება შესაბამისი მოვლა-შენახვის სამუშაოები⁵².

სამმართველოს განკარგულებაში არსებული შვეულმფრენების დიდი ნაწილი (12-დან 8 ერთეული) რუსული წარმოებისაა და გამოშვებულია 1987-1992 წლებში. მათთვის მწარმოებლის მიერ დადგენილი იყო ექსპლუატაციის მაქსიმალური ვადა - 30 წელი, თუმცა სამმართველოს ხელმძღვანელობის განმარტებით, იმავე მწარმოებლის მიერ ვადა გაგრძელებულია 40 წლამდე.

საგანგებო სიტუაციებში ჩართულობისა და ლიტერული ფრენების კონტროლის ნაკლოვანებები

სასაზღვრო პოლიციის⁵³ და სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველოს დებულებების⁵⁴ მიხედვით, სამმართველოს, სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებთან ერთად, ევალება ისეთი განსაკუთრებული ამოცანების შესრულება, როგორიცაა, სამაშველო ღონისძიებების განხორციელება საგანგებო სიტუაციების დროს (მათ შორის, სტიქიური უბედურება, ხანძარი) და

⁵⁰ აღნიშნული აპარატების ძრავების, პროპელერების და ზოგიერთი სხვა აგრეგატის მწარმოებელი არის მხოლოდ რუსეთის ფედერაციაში და სხვა ქვეყნებში არ არსებობს მათი წარმომადგენლობა.

⁵¹ 2017 წლის 28 ივლისის წერილი.

⁵² მაგალითად, ერთი ცალი მი-8 ტიპის შვეულმფრენის და მისი აგრეგატების ყოველწლიური კონსერვაციის ხარჯები შეადგენს 7,000-10,000 ლარს.

⁵³ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 21 ივნისის N786 ბრძანების „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ა) და დ) ქვეპუნქტები.

⁵⁴ სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2017 წლის 5 აპრილის N75 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველოს დებულების“ მე-5 მუხლის დ) და ე) ქვეპუნქტები.

სახელმწიფოს მაღალი რანგის თანამდებობის,⁵⁵ აგრეთვე მათი თანმხლები პირების საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირება, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის შესაბამისი დასაბუთებული წერილობითი მიმართვის საფუძველზე, თუმცა არ არის მითითებული თუ რა სახის დოკუმენტი უნდა იყოს წარდგენილი უშუალოდ ავიაციის მთავარი სამმართველოსათვის, რათა განხორციელდეს ე.წ. ლიტერული ფრენა.

სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველოს ყველა გაფრენა ხორციელდება შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, თუმცა ნორმატიული აქტებით არ არის გათვალისწინებული, თუ რა აუცილებელი მონაცემები უნდა აისახოს ბრძანებაში. არსებული მდგომარეობით, შსს-ს მმართველობის სფეროში შემავალ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, შევლუმფრენები არ გააჩნია, ამიტომ ტყის მასიური ხანძრების ჩასაქრობ და ძნელად მისადგომ ადგილებში სამაშველო ოპერაციებს, სასაზღვრო პოლიციის ძალები ატარებენ.⁵⁶

სამმართველოში და სასაზღვრო პოლიციის ცენტრალურ აპარატში არ რჩება დოკუმენტი, თუ რა სახის სამაშველო ოპერაციაში (ცალკეა გამოყოფილი ხანძრების შემთხვევები) მონაწილეობდა სამსახური და რა შედეგით დასრულდა კონკრეტული გაფრენა. ასევე, რომელი თანამდებობის პირი და რა მიზნით იქნა გადაყვანილი ბრძანებაში მითითებულ დანიშნულების პუნქტში. ბრძანებებში საფუძვლად ძირითადად მითითებულია დებულების ზოგადი ნორმები და არა კონკრეტული გაფრენის საფუძველი. ასევე, უმეტეს შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი მიმართვა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგიერთ შემთხვევაში ვერ იქნა მიღებული რწმუნება ე.წ. ლიტერული ფრენების განხორციელებისათვის შესაბამისი წერილობითი მიმართვის მიღებისა და დასაბუთებულობის შესახებ. ამავე დროს, ვერ იქნა მოპოვებული ინფორმაცია ზოგიერთი სამაშველო გაფრენის მიზნებისა და შედეგების შესახებ.

დასკვნა

ოფიციალური მარეგულირებელი აქტის არარსებობის გამო, ვერ დგინდება, რამდენად სრულყოფილად ახორციელებს სამმართველო მასზე დაკისრებულ მოვალეობას დასაცავი ტერიტორიის ჰაერიდან მონიტორინგის, კონტროლისა და პატრულირების შესახებ. აღნიშნული მიზნით განხორციელებული ფრენების რაოდენობა მინიმალურია, რაც ძირითადად საფრენი აპარატების და შესაბამისი ბიუჯეტის სიმცირით არის გამოწვეული.

ავიაციის მთავარი სამმართველოს განკარგულებაში არსებული საავიაციო პარკი მოძველებულია და არადაამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. საფრენი აპარატების მნიშვნელოვანი ნაწილი წლების განმავლობაში გაუმართავია, რის გამოც ისინი განთავსებულია საავიაციო სადგომზე, ღია ცის ქვეშ, განიცდიან მზისა და ატმოსფერული ნალექების უარყოფით ზემოქმედებას. აღნიშნულის შედეგად მცირდება მათი საბაზრო ღირებულება. ამასთანავე, გამოუყენებელ საფრენ აპარატებს ესაჭიროება მოვლა-შენახვა, რისთვისაც იხარჯება როგორც ადამიანური, ასევე ფინანსური რესურსები.

⁵⁵ ქვეყნის პრეზიდენტის, პრემიერ – მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის და ა.შ.

⁵⁶ სამმართველოს მიერ აუდიტის პერიოდში განხორციელებული 382 გაფრენიდან 66 განხორციელდა (17.3%) სამაშველო (38 გაფრენა) და სახანძრო (28 გაფრენა).

სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველოს საფრენი აპარატების ყველა გაფრენა ხორციელდება ბრძანების საფუძველზე, თუმცა არ არსებობს კრიტერიუმი, რა აუცილებელი მონაცემები უნდა აისახოს ბრძანებაში. აღნიშნული წარმოშობს კონტროლის გარკვეულ რისკებს. აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო სათანადო რწმუნება უწყების აქტივების კანონიერად გამოყენების შესახებ.

რეკომენდაცია N6

საქართველოს სასაზღვრო პოლიციას

სასაზღვრო პოლიციაზე დაკისრებული ფუნქციების სათანადო დონეზე შესრულების უზრუნველსაყოფად და კონტროლის გარემოს გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს მთავრობასა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით:

- ✓ შეიმუშაოს უწყებისათვის საჭირო საფრენი აპარატებისა და მცურავი საშუალებების მოდერნიზაციის, განახლების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები.
- ✓ ხარჯთეფექტიანობის პრინციპების გათვალისწინებით, გადაწყვიტოს ისეთი აქტივების შემდგომი გამოყენების საკითხები, რომელთა გარემონტება არსებული მდგომარეობით არარენტაბელურია;
- ✓ უზრუნველყოს სახანძრო-სამაშველო ოპერაციებისა და ე.წ ლიტერული ფრენების შესაბამისი დოკუმენტური საფუძვლების შექმნა.

2.1.3 მცურავი საშუალებები

მცურავი საშუალებების საექსპლუატაციო მზადყოფნის ნაკლოვანებები

საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტს, გარდა საქართველოს საზღვაო სივრცეში დადგენილი სამართლებრივი რეჟიმის შესრულებაზე კონტროლისა, ევალება ისეთი მნიშვნელოვანი აქტივობები, როგორიცაა, ზღვაზე საძიებო-სამაშველო ოპერაციების განხორციელება, საზღვაო ბიოლოგიური რესურსების დაცვა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რამდენიმე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენა და განხილვა.⁵⁷

კანონმდებლობის თანახმად, საომარი მდგომარეობის გამოცხადების დროს სანაპირო დაცვის დეპარტამენტიც გადადის საქართველოს თავდაცვის ძალების შემადგენლობაში. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სათანადო რაოდენობისა და შესაძლებლობების მცურავი საშუალებების, იარაღის და ტექნიკის არსებობა და მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში ყოფნა. წლების განმავლობაში საზღვაო ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის გაუმჯობესება ძირითადად მიმდინარეობდა დონორი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი ქვეყნების დახმარებით, რაც განგრძობადი პროცესია, თუმცა სანაპირო დაცვის დეპარტამენტის სრულყოფილი უზრუნველყოფა საჭირო ქონებით ვერ ხერხდება.

ამჟამად, დეპარტამენტის სწრაფმავალი მცირე მცურავი საშუალებები ხანდაზმულია და არ გააჩნია საკმარისი რესურსი სხვადასხვა სახის კანონალსრულებისა და ძებნა-გადარჩენის ოპერაციების ჩასატარებლად. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მოძველებულია და მწყობრიდანაა გამოსული. კერძოდ,

⁵⁷ ასკ-ის 209 მუხლის პირველი პუნქტი.

ბალანსზე რიცხული 41 ერთეული არასაბრძოლო მცურავი საშუალებიდან 17 ერთეული, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტთა დასკვნით⁵⁸ ტექნიკურად გაუმართავ მდგომარეობაშია და მათი ექსპლუატაცია მიზანშეწონილი არ არის. ამიტომ, აუდიტის მიმდინარეობისას ისინი გადაეცა ეკონომიკის სამინისტროს და დეპარტამენტის ბაზაზე განთავსებულია დროებით შენახვაზე. დარჩენილი 24 მცურავი საშუალებიდან, უმეტესობას ესაჭიროება მიმდინარე ან/და სხვა სახის რემონტი, ხოლო რამდენიმე მათგანის ძირითად აგრეგატებს საექსპლუატაციო რესურსი უკვე ამოწურული აქვს და დიდია მათი მწყობრიდან გამოსვლის ალბათობა.⁵⁹ მათგან 2 ერთეული გამოუყენებელი სადარაჯო ხომალდი, აუდიტის მიმდინარეობისას, ამოღებულ იქნა საშტატო განრიგიდან.⁶⁰

აღნიშნული მცურავი საშუალებების რემონტი მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, რადგან ისინი წარმოებულია სხვადასხვა ქვეყანაში (საბერძნეთი, თურქეთი, აშშ) და საკმაოდ მოძველებულია, რის გამოც რთულია მათთვის საჭირო სათადარიგო ნაწილების და შემკეთებელი კომპანიის მოძიება. ამათანავე, პასუხისმგებელი პირების განმარტებით, დეპარტამენტს არ გააჩნია ისეთი სათადარიგო ნაწილების მარაგი, რომლებიც ხშირად ზიანდება და საჭიროებს შეცვლას, ამიტომ ზოგ შემთხვევაში მცირე დაზიანების გამო, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვერ ხერხდება მცურავი საშუალების მწყობრში ჩაყენება.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ორ სამმართველოს ესაჭიროება მცირე ზომის მცურავი საშუალებები. კერძოდ, N2 (ახალციხე) და N3 სამმართველოების (წითელი ხიდი) დასაცავი სახმელეთო საზღვარი გადის ჯანდარისა (აზერბაიჯანის საზღვარზე) და კარწახის (თურქეთის საზღვარზე) ტბებზე, სადაც უწყების მხრიდან სრულყოფილად ვერ ხორციელდება მასზე დაკისრებული მოვალეობები.

საწვავ-საპოხი მასალების მოხმარების ნაკლოვანებები

სანაპირო დაცვის დეპარტამენტის პასუხისმგებელი პირების განმარტებით, პრობლემატურია მცურავი საშუალებების ენერგეტიკული დანადგარების მიერ გახარჯული საწვავის ზუსტი ოდენობის დადგენა, რადგან მასზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორები.⁶¹

მცურავი საშუალებების ენერგეტიკული დანადგარების (მთავარი და დამხმარე ძრავები, წყლის ტუმბო, საქვაბე და ა.შ.) მიერ საწვავ-საპოხი მასალების

⁵⁸ სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 6 მაისის N5002416720 ექსპერტის დასკვნა.

⁵⁹ მაგალითად, მცირე საპატრულო კატარა „სიარკი“ P-002, რომელიც თითქმის 20 წლისაა, 2022 წლის 17 მარტს, პატრულირების მიზნით გავიდა პორტიდან (ფოთი) სუფსის მიმართულებით. მარცხენა ძრავის კომპენსატორი გამოვიდა მწყობრიდან და 22 მარტის მდგომარეობით სარემონტო იყო. ანალოგიურად, საპატრულო კატარა „ივერია“ (P-105) (გამოშვებულია 1974 წელს) 2022 წლის 21 მარტს გავიდა პორტიდან და მალევე დაბრუნდა პორტში, რადგან მთავარ ძრავზე დაფიქსირდა ხარვეზი. 23 მარტს სარემონტო სამუშაოები ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული.

⁶⁰ ერთი გადაეცა ეკონომიკის სამინისტროს, მეორე კი დაუბრუნდა თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალებს.

⁶¹ უშუალოდ დანადგარების ტექნიკური მდგომარეობა (ხანდაზმულობა და, თუ რამდენად დროულად უტარდება შესაბამისი სარემონტო სამუშაოები), მცურავი საშუალების კორპუსის მდგომარეობა (წყალქვეშა კორპუსის მდგომარეობა (ნაზარდი) ზრდის ხომალდის წყალთან ხახუნის ძალას, რაც იწვევს მთავარი ენერგეტიკული დანადგარების მეტი დატვირთვით მუშაობას), ასევე ჰიდრომეტეოროლოგიური პირობები (ტემპერატურა, დინება, ქარი, ღელვის ხარისხი და სხვ.). შესაბამისად, შეუძლებელია ძრავების საწვავის ხარჯის ზუსტი ნორმების დადგენა სხვადასხვა რეჟიმსა და ბრუნვებზე მუშაობისას.

მოხმარების ნორმების განსაზღვრის მიზნით, დეპარტამენტის მიერ ჩატარებულ იქნა შესაბამისი ქრონომეტრაჟი და დადგინდა საწვავ-საპოხი მასალების ფაქტობრივი მოხმარების ოდენობები ენერგეტიკული დანადგარების სხვადასხვა ბრუნების დროს მიღებული შედეგების მიხედვით. აღნიშნულის საფუძველზე, სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2011 წლის ბრძანებით,⁶² დამტკიცდა საწვავის ხარჯვის ნორმები თითოეულ მცურავ საშუალებაზე, თუმცა ქრონომეტრაჟებით განსაზღვრული მონაცემები და ბრძანებით დადგენილი ნორმები ერთმანეთთან მნიშვნელოვან შეუსაბამობაშია.

მაგალითად, ერთ-ერთი საპატრულო კატარღის (ბორტი №P-101) საწვავ-საპოხი მასალების მოხმარების ნორმების განსაზღვრის მიზნით დეპარტამენტის მიერ ჩატარებული შესაბამისი ქრონომეტრაჟით დადგენილია ორი მთავარი ძრავის საწვავის ხარჯი: მცირე, საშუალო, სრული და მაქსიმალური სვლის რეჟიმებში, ზემოაღნიშნული ბრძანებით კი ნორმები დადგენილია - ნელი, საშუალო, სრული და თავისუფალი სვლებისათვის თითო ძრავაზე. ამასთანავე, ქრონომეტრაჟით გაირკვა, რომ საშუალო სვლით ორივე ძრავაზე საათში (1000 ბრუნი) გაიხარჯა - 40 ლიტრი, სრული სვლით (1500 ბრუნი) კი - 124 ლიტრი, თუმცა ბრძანებით საშუალო სვლაზე ნორმად დადგინდა - 62 ლიტრი (124:2), სრულ სვლაზე კი 105 ლიტრი (210:2) თითოეულ ძრავაზე. შესაბამისად აღნიშნულ დოკუმენტებში შეუსაბამოა მოძრაობის რეჟიმები. ამასთანავე, ბრძანებით დადგენილი ნორმებით გახარჯული საწვავის ოდენობის გამოსათვლელად აუცილებელია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ დროის რა მონაკვეთში როგორი სვლით მოძრაობდა მცურავი საშუალება, რაც დეპარტამენტში დოკუმენტურად არ ფიქსირდება.

ზემოაღნიშნული კატარღის (ბორტი №P-101) საწვავ-საპოხი მასალების ანგარიშის შესწავლის შედეგად (2019 წლის 24 აპრილიდან 28 მაისამდე პერიოდი) გამოვლინდა, რომ ორივე მთავარი ძრავი მუშაობდა 98 სთ-ისა და 5 წთ-ის განმავლობაში, რისთვისაც დაიხარჯა ჯამში 5 750 ლიტრი (2 875 ლიტრი თითოეულ ძრავაზე) დიზელის საწვავი. შესაბამისი სანავიგაციო ჟურნალის ჩანაწერებით, ორივე ძრავი ამ პერიოდში მინიმუმ 83 საათის განმავლობაში (თითქმის 84%) მუშაობდა 1 200 ბრუნზე, თუმცა აღნიშნულ რეჟიმზე სვლის ხარჯვის ნორმები ბრძანებით და ქრონომეტრაჟით არ არის გათვალისწინებული.⁶³

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საფინანსო სამსახურს არ აქვს შესაძლებლობა განსაზღვროს ჩამოსაწერი საწვავის ნორმატიული ოდენობა, რაც კრიტერიუმის და მარეგულირებელი აქტის არასრულყოფილებაზე მიუთითებს. ფაქტობრივად, მცურავი საშუალებების მიერ გახარჯული საწვავ-საპოხი მასალების ჩამოწერა ხორციელდება შესაბამისი მცურავი საშუალების მექანიკოსის მიერ შედგენილი ანგარიშის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს მეთაური. ანგარიშში მითითებულია, თუ რომელი ენერგეტიკული დანადგარი

⁶² 2011 წლის 20 სექტემბრის N1155135 აქტი.

⁶³ როგორც აღინიშნა, ზემოხსენებული ქრონომეტრაჟით დადგენილია საწვავის ფაქტობრივი ხარჯი 1000 და 1500 ბრუნებზე, შესაბამისად - 20 და 62 ლიტრი საწვავი თითოეულ ძრავაზე, რაც არ იძლევა ძირითადად 1200 ბრუნზე მომუშავე აგრეგატების მიერ გახარჯული საწვავის ნორმატიული ოდენობის სწორად განსაზღვრის საფუძველს. ანგარიშის მიხედვით კი, საათში თითოეულ ძრავაზე დაახლოებით 30-35 ლიტრი საწვავი გახარჯული, რაც ჩამოწერილია.

რამდენი საათის განმავლობაში მუშაობდა და რა ოდენობის საწვავი იქნა მოხმარებული. იმის გამო, რომ არ არსებობს მცურავი საშუალებების მიერ გახარჯული საწვავ-საპოხი მასალების რეალური ოდენობის დადგენის სხვა, უფრო ქმედითი მექანიზმი, საწვავის ჩამოწერა ხორციელდება წარმოდგენილ ანგარიშებზე დაყრდნობით.

აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად დეპარტამენტის მიერ 2019 წელს არის მოთხოვნილი⁶⁴ მცურავი საშუალებების აღჭურვა GPS მონიტორინგის განმახორციელებელი მოწყობილობებით, საწვავის რაოდენობის განმსაზღვრელი სენსორით, რომლითაც უნდა გაკონტროლებულიყო საწვავის მიმდინარე ოდენობა და საათობრივი წვა. ამასთანავე, პროგრამას უნდა დაეფიქსირებინა საწვავით გამართვის და არასანქცირებული ჩამოსხმის მონაცემები. აღნიშნული მოთხოვნა არ არის შესრულებული, რაც წარმოშობს საწვავ-საპოხი მასალების არამართლზომიერი განკარგვის რისკს.

დასკვნა

არასაკმარისი რაოდენობის და ტექნიკური მდგომარეობის მცურავი საშუალებებით, მნიშვნელოვნად რთულდება საზღვაო საზღვრის დაცვის ღონისძიებების სრულყოფილად განხორციელება, რაც წარმოშობს რისკს, რომ დეპარტამენტი ჯეროვნად ვერ შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, რომლებიც გაცილებით უფრო ფართოა,⁶⁵ ვიდრე საზღვაო საზღვრის დაცვა.

სანაპირო დაცვის დეპარტამენტისათვის პრობლემატურია მცურავი საშუალებების ენერგეტიკული დანადგარების მიერ გახარჯული საწვავის ზუსტი ოდენობის დადგენა, რადგან მასზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორები და შეუძლებელია ძრავების საწვავის ხარჯის ზუსტი ნორმების დადგენა განსხვავებულ რეჟიმსა და ბრუნზე მუშაობისას.

მცურავი საშუალებების მიერ საწვავ-საპოხი მასალების მოხმარების ნორმები განსაზღვრულია ქრონომეტრაჟების საფუძველზე და დამტკიცებულია შესაბამისი ბრძანებით, თუმცა ამ ორ დოკუმენტში შეუსაბამოა მოძრაობის რეჟიმები. ამასთანავე, ბრძანებით დადგენილი ნორმებით გახარჯული საწვავის ოდენობის გამოსათვლელად აუცილებელია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ დროის რომელ მონაკვეთში, როგორი სვლით მოძრაობდა მცურავი საშუალება, რაც დეპარტამენტში დოკუმენტურად არ ფიქსირდება, ამიტომ საფინანსო სამსახურს არ აქვს შესაძლებლობა განსაზღვროს ჩამოსაწერი საწვავის ნორმატიული ოდენობა, რაც კრიტერიუმის და მარეგულირებელი აქტის არასრულყოფილებაზე მიუთითებს.

საფინანსო სამსახურის მიერ საწვავის ჩამოწერა ხორციელდება წარმოდგენილ ანგარიშებზე დაყრდნობით, რაც რისკის შემცველია. ამის გამო, საჭიროა მცურავი საშუალებების მიერ გახარჯული საწვავ-საპოხი მასალების რეალური ოდენობის დადგენის სხვა, უფრო ქმედითი მექანიზმის არსებობა.

⁶⁴ 2019 წლის 6 მარტის №586937 წერილი.

⁶⁵ სტიქიური მოვლენების დროს მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენა, სამიგრო-სამაშველო ოპერაციების განხორციელება, საზღვაო სივრცეში კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია, გამოვლენა-აღკვეთა, ასკ 114² მუხლის მოთხოვნათა დაცვის გაკონტროლება და ა.შ.

რეკომენდაცია N7**საქართველოს სასაზღვრო პოლიციას**

შეიმუშაოს და დანერგოს კონტროლის ქმედითი მექანიზმები მცურავი საშუალებების ენერგეტიკული დანადგარების მიერ ფაქტობრივი მოხმარებული საწვავ-საპოხი მასალების ოდენობის სწორად განსაზღვრის უზრუნველსაყოფად.

2.1.4 სხვა სპეციფიკური ქონება**ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალების მართვის ნაკლოვანებები**

მოქმედი კანონმდებლობით, პოლიციელს უფლება აქვს, შეინახოს, ატაროს და გამოიყენოს სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღი,⁶⁶ ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მათი აღჭურვა განხორციელდეს სათანადო ხარისხის, მონაცემების და რაოდენობის იარაღითა და საბრძოლო მასალებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს დებულების მოთხოვნა⁶⁷ პირადი შემადგენლობის, შეიარაღებისა და ტექნიკის მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში ყოფნის შესახებ. სასაზღვრო პოლიციის სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ნაწილი ყოფილი საბჭოთა კავშირის წარმოებისაა, მინიმუმ, 30 წლისაა და მათი საიმედოობა ზოგ შემთხვევაში არ არის გარანტირებული. ხშირია შემთხვევა, როდესაც სასწავლო ვარჯიშების ან მიმდინარე მოვლა-შენახვის პროცედურების (წმენდის) დროსაც, იარაღი მწყობრიდან გამოდის და საჭირო ხდება მისი აღდგენა-შეკეთება, ან ჩამოწერა.

სასაზღვრო პოლიციის, როგორც ცენტრალურ აპარატში, ისე სტრუქტურულ ქვედანაყოფებში ირიცხება დაზიანებული იარაღი, რომელიც ინვენტარიზაციის აღწერილობებში შეიტანება ცალკე, როგორც „უვარგისი“. ასეთი იარაღის და საბრძოლო მასალების ჩამოწერის პროცესი მკაცრად რეგლამენტირებული და ხანგრძლივი პროცესია, რადგან სხვადასხვა უწყების ჩართულობას მოითხოვს.

აუდიტის პერიოდში განხორციელდა საბრძოლო მასალასთან ერთად იარაღის, კავშირგაბმულობის და სხვა სპეციფიკური ქონების ჩამოწერა, რომლის პროცესიც დაწყებული იყო 2012 წელს.⁶⁸

სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატის ბალანსზე წლების განმავლობაში ჯერ კიდევ ირიცხება 200-ზე მეტი დასახელების, დიდი ოდენობის იარაღი, საბრძოლო მასალა, საინჟინრო საშუალებები და სხვა სპეციფიკური ქონება (ძირითადად, ფასის გარეშე), რომელიც მათ არ ესაჭიროებათ, მაგრამ გამოსაყენებლად ვარგისია. აღნიშნული ქონების შენახვა მოითხოვს გარკვეული სახის მატერიალურ დანახარჯებს, თუმცა მათგან

⁶⁶ „პოლიციის შესახებ“, საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁶⁷ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 21 ივნისის N786 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეყნურო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

⁶⁸ კერძოდ, 2012 წელს ჩატარდა პიროტექნიკური და ბალისტიკური ექსპერტიზა, რის შედეგად დადგინდა, რომ 17,777 ერთეული სხვადასხვა დასახელების ვაზნა უვარგისი იყო. აღნიშნული ქონება ინახებოდა სასაზღვრო პოლიციის ლოჯისტიკის საწყობში. პოლიციის საინვენტარიზაციო კომისიის 2017 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ზემოხსენებული დასკვნა წარედგინა სასაზღვრო პოლიციის ჩამოწერის კომისიას, რომელმაც 2017 წლის 29 ნოემბრის სხდომაზე (ოქმი N2872773) განიხილა აღნიშნული საკითხი და ჩამოწერის დოკუმენტაცია გადაეგზავნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიას. ანალოგიური პროცედურებით კომისიისათვის წარდგენილია ასევე უვარგისად ცნობილი სხვადასხვა სახის კავშირგაბმულობის საშუალებები და ცეცხლსასროლი იარაღი. კომისიამ მხოლოდ 2020 წლის მარტში მიიღო სასაზღვრო პოლიციის შესაბამისი რეკომენდაციები უვარგისი ქონების ჩამოწერის შესახებ.

სარგებლის მიღება მოსალოდნელი არ არის. საკითხის გადასაწყვეტად უწყებამ მიმართა ქვეყნის ძალოვან სტრუქტურებს (შსს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, თავდაცვის სამინისტრო) და შესთავაზა აღნიშნული ქონების გადაცემა, თუმცა მათი დიდი ნაწილის გამოყენების საჭიროება არ არსებობს. ანალოგიურად, სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ბალანსზე წლების განმავლობაში ფასის გარეშე ირიცხება 8840 ერთეული 4 დასახელების საბრძოლო მასალა, რომელიც გამოუსადეგარია, როგორც სასაზღვრო პოლიციის, ისე საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებისათვის, რადგან არც ერთ უწყებას არ გააჩნია შესაბამისი კალიბრისა და სისტემის იარაღი.⁶⁹

დეპარტამენტის შეიარაღების საწყობში, 2020 წლის ინვენტარიზაციით დაფიქსირდა 103 დასახელების ე.წ. „უვარგისი“ მატერიალური ფასეულობანი (ავტომატები, ტყვიამფრქვევები, საზენიტო დანადგარები, ქვემეხები, საბრძოლო მასალა და ა.შ.), რომელთა ნაწილზე უკვე არსებობს ექსპერტიზის დასკვნები, თუმცა ამ ეტაპზე ჩამოწერილი არ არის, ნაწილი კი საჭიროებს საექსპერტო შეფასებას.

აუდიტის პროცესში მიმდინარეობდა აქტიური საქმიანობა აღნიშნული ქონების კანონმდებლობის შესაბამისად განკარგვის მიზნით და მნიშვნელოვანი ნაწილის გადაცემა უკვე განხორციელდა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოქმედი კანონმდებლობით რეგულირდება მხოლოდ გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი ან დაკარგული შეიარაღებისა და ტექნიკის, სამხედრო ტექნიკური და საბრძოლო მასალების ნომენკლატურაში შემავალი და სხვა ქონების ჩამოწერისა და აღრიცხვიდან მოხსნის საკითხი.⁷⁰ რაც შეეხება მოძველებული, მაგრამ ვარგისი ქონების შემდგომი მართვის საკითხს, რომელიც უწყებას აღარ ესაჭიროება, მოქმედი კანონმდებლობა არ არეგულირებს. შესაბამისად, არ არსებობს სამართლებრივად დადგენილი მექანიზმები, თუ როგორ უნდა განთავისუფლდეს უწყება ასეთი ქონებისგან, რომელსაც ესაჭიროება სასაწყობო მოვლა, დაცვა, ყოველწლიური ინვენტარიზაცია და ა.შ.

აღნიშნული ქონების დიდი ნაწილი საბრძოლო დანიშნულებისაა და მათი რეალიზაცია დაუშვებელია, მაგრამ ისეთი ქონება, როგორიცაა, სატელიტური სანავიგაციო სისტემა GPS, ლამის ხედვის ხელსაწყო და ა.შ. თავისუფალ მიმოქცევაშია და მნიშვნელოვანია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რათა შესაძლებელი იყოს მათი რეალიზაცია.

⁶⁹ აღნიშნულის შესახებ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2013 წლის 29 ივლისს მიმართა თავდაცვის მინისტრს და სთხოვა მიეღო გადაწყვეტილება ხსენებული საბრძოლო მასალების განკარგვის თაობაზე. გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

⁷⁰ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 მარტის N197 ბრძანებულებით დამტკიცებული „გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი ან დაკარგული შეიარაღებისა და ტექნიკის, სამხედრო ტექნიკური და საბრძოლო მასალების ნომენკლატურაში შემავალი და სხვა ქონების ჩამოწერისა და აღრიცხვიდან მოხსნის დებულება“.

დასკვნა

სასაზღვრო პოლიციის სამსახურებრივ-სამტატო ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ნაწილი, მინიმუმ, 30 წლის ხანდაზმულობისა და მათი საიმედოობა ზოგ შემთხვევაში არ არის გარანტირებული. უწყებაში ირიცხება დაზიანებული იარაღი, რომელიც ინვენტარიზაციის აღწერილობებში შეიტანება როგორც „უვარგისი“, მაგრამ იარაღის და საბრძოლო მასალების ჩამოწერის პროცესი ხანგრძლივია, რადგან სხვადასხვა უწყებისა და ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვას მოითხოვს.

ამასთანავე, მოქმედი კანონმდებლობით რეგულირდება მხოლოდ ზღვრულ მდგომარეობამდე მიყვანილი და არა ვარგისი, მაგრამ გამოუსადეგარი შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების ჩამოწერის საკითხი. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით უწყება ვერ ახორციელებს ვარგისი, თუმცა მისთვის არასაჭირო ქონების ჩამოწერას.

რეკომენდაცია N8

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სასაზღვრო პოლიციას

შესაბამის უწყებებთან მჭიდრო კოორდინაციით უზრუნველყონ სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე რიცხული გამოუყენებელი იარაღის და საბრძოლო მასალების, ასევე სხვა სამხედრო დანიშნულების გამოუსადეგარი ქონების დროულად ჩამოწერა ან სხვა ფორმით განკარგვა. საჭიროების შემთხვევაში, განიხილონ მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობის საკითხი და განახორციელონ შესაბამისი პროცედურები ამ ცვლილებების ინიცირების თვალსაზრისით.

კინოლოგიის მიმართულებით არსებული ნაკლოვანებები

სახმელეთო საზღვრის დაცვის მიმართულებით სამართალდარღვევის გამოვლენისა და აღკვეთის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძალების გამოყენებას. აღნიშნული მიზნით შექმნილია სასაზღვრო პოლიციის კინოლოგიის სამმართველო, რომელიც ახორციელებს ძალების სელექციას, გამრავლებას, უზრუნველყოფს მათ წვრთნას.⁷¹ გაწვრთნილი ძალები საჭიროების მიხედვით ნაწილდება სტრუქტურულ ერთეულებზე და ხდება მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება.

სამმართველოს მიერ შემუშავებულია სასაზღვრო პოლიციის კინოლოგიის განვითარების სტრატეგია 2021-2024 წლებისათვის, სადაც გათვალისწინებულია აშშ-ისა და ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება. სტრატეგიის თანახმად, სასაზღვრო პოლიციას, საზღვრის უფრო ეფექტიანად დაცვისათვის ესაჭიროება თითქმის 3-ჯერ – 4-ჯერ მეტი ძალა, რის გამოც არსებული მდგომარეობით, მათი შესაძლებლობების გამოყენება ეპიზოდური ხასიათი აქვს. საზღვრის ისეთი მონაკვეთები, რომლებიც არასაკმარისად კონტროლდება ავტომატური ტექნიკური საშუალებებით, არ კონტროლდება ძალების გამოყენებით უწყვეტად, რაც საზღვრის უკანონო კვეთის მაღალი რისკის შემცველია.

ძალების რაოდენობის დაგეგმილი მკვეთრი მატების მიღწევა რთული პროცესია, ვინაიდან კინოლოგიების მოძიება-მომზადება სირთულეებთან არის

⁷¹ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და სასაზღვრო - პოლიციური ღონისძიებებისთვის გამოყენებას, აგრეთვე ნარკოტიკული, ფეთქებადი ნივთიერებებისა და სხვა საგნების აღმოჩენის და კვალის აღების შესახებ სწავლების ორგანიზებას.

დაკავშირებული. კინოლოგებისათვის მოტივირებისა და წახალისების სისტემა დამტკიცებული არ არის, ამიტომ ისინი ფინანსური მოტივაციის გარეშე ასრულებენ ყოველდღიურ დამატებით საქმიანობას. ამასთანავე, კინოლოგი ვალდებულია დასვენების პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას, შესაფერის პირობებში იყოლოს მასზე გაპიროვნებული ძალდი, რაც დამატებით სირთულეებს ქმნის. პრობლემის მოსაგვარებლად, 2019 წლიდან შემუშავებულია სამართლებრივი აქტის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კინოლოგების წახალისებასა და მოტივირებას, თუმცა ამ ეტაპზე, საკითხი გადაწყვეტილი არ არის.

სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე რიცხული ძალდი სახელმწიფო ქონებაა და მას შემდეგ, რაც იგი ასაკის ან სხვა მიზეზის გამო აღარ არის გამოსადეგი სამსახურისთვის, საჭიროა მისი რეალიზაცია. ჩამოსაწერი ძალდი გადაეცემა სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, აუქციონზე გასაყიდად, მაგრამ ვინაიდან სააგენტოს არ გააჩნია ცხოველების შენახვის შესაბამისი პირობები, ჩამოსაწერი კულტივირებული ქონება რჩება სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე - მათ გასხვისებამდე. აუქციონის წესით ძაღლის რეალიზაცია რთული და ხანგრძლივი პროცესია.

სამმართველოს მოსაზრებით, მიზანშეწონილია საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება და სურვილის შემთხვევაში ძაღლის კინოლოგისთვის მოსავლელად გადაცემა.

კინოლოგიის სამმართველოს მიმართვის⁷² საფუძველზე სასაზღვრო პოლიციის მიერ შემუშავებულია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი, სადაც გათვალისწინებულია საკითხის სპეციფიკურობა, თუმცა აღნიშნული საკითხი ამ ეტაპზე გადაწყვეტილი არ არის.

დასკვნა

სასაზღვრო პოლიციას, საზღვრის უფრო ეფექტიანად დაცვისათვის ესაჭიროება თითქმის 3-4 ჯერ მეტი ძალდი, რის გამოც არსებული მდგომარეობით, მათი შესაძლებლობების გამოყენებას ფრაგმენტული ხასიათი აქვს. საზღვრის არცერთი მონაკვეთი არ კონტროლდება ძაღლების გამოყენებით უწყვეტად, რაც რისკების შემცველია. დღეის მდგომარეობით, კინოლოგებისათვის მოტივირებისა და წახალისების სისტემა შექმნილი არ არის. პრობლემის მოსაგვარებლად გათვალისწინებულია სამართლებრივი აქტის მიღება, რომლის პროექტი შემუშავებულია, თუმცა საკითხი გადაწყვეტილი არ არის.

რეკომენდაცია N9

საქართველოს სასაზღვრო პოლიციას

სახმელეთო საზღვრის დაცვის მიმართულებით სამართალდარღვევის გამოვლენისა და აღკვეთის ეფექტიანობის ამაღლების, ასევე სასამსახურო ძაღლების შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით:

1) გაატაროს ქმედითი ღონისძიებები ძაღლების რაოდენობის მატების მიმართულებით;

⁷² 2019 წლის 7 აგვისტოს N83743 და 2021 წლის 23 ივლისის N30682 პატიკები

J დანერგოს კინოლოგიების მოტივირებისა და წახალისების სისტემა.

2.1.5 ავტოპარკის მართვა

ავტოპარკის ოპტიმიზაციის პროცესში არსებული ნაკლოვანებები

საქართველოს მთავრობის N121 დადგენილებით⁷³ განსაზღვრულია თანამდებობის პირები, რომლებსაც შეიძლება გააჩნდეთ განპიროვნებული ავტომობილები. გარდა ამისა, დადგენილების შესაბამისად, სამორიგეო ავტომობილების რაოდენობის გამოთვლა უნდა განხორციელდეს საშტატო რიცხოვნობიდან გამომდინარე.⁷⁴ ამასთანავე, სასაზღვრო პოლიციას, რომელიც უფლებამოსილების ფარგლებში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასაც ახორციელებს, უნდა ჰყავდეს ოპერატიული დანიშნულების ავტომობილებიც. 2018 წელს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების საკითხების 2017 წლის 1 იანვრიდან ამავე წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის უწყებათაშორისი სისტემური შესაბამისობის აუდიტი,⁷⁵ რომელმაც სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად მოიცვა სასაზღვრო პოლიციაც. იდენტიფიცირებულ დარღვევა-ნაკლოვანებებზე გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები. მიმდინარე აუდიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.

სასაზღვრო პოლიციის სარგებლობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებები, მისი სამსახურეობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, მრავალფეროვანია.

ცხრილი N4. ინფორმაცია 2019-2020 წლებში სასაზღვრო პოლიციის სარგებლობაში არსებული სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების საშუალო რიცხოვნობის შესახებ

დასახელება	რაოდენობა
მსუბუქი ავტომანქანა	92
მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომანქანა	335
ავტობუსი/მიკროავტობუსი	18
სატვირთო ავტომანქანა	125
სხვადასხვა სპეციალური დანიშნულების სატრანსპორტო საშუალება ⁷⁶	20
კვადროციკლი	119
ყველგანმავალი	20
თოვლმავალი	28
სულ:	757

სასაზღვრო პოლიციაში არსებული ავტომანქანები არ არის კლასიფიცირებული სარგებლობის ზემოხსენებული ფორმების მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ ხორციელდება იდენტიფიცირება, რამდენია მათ შორის ოპერატიული და სპეციალური დანიშნულების და რამდენი – განპიროვნებული ან სამორიგეო ფუნქციის. შესაბამისად, ვერ დგინდება, ვრცელდება თუ არა აღნიშნულ ავტომობილებზე მთავრობის დადგენილებით დაწესებული

⁷³ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურეობრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის“ მე-3 მუხლი.

⁷⁴ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილების მე-2 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები და მე-5 მუხლი.

⁷⁵ 2019 წლის 29 ივლისი, სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტის ანგარიში.

⁷⁶ ბულოდოზერი, ექსკავატორი, ტრაქტორი, თვლიანი და ავტო დამტვირთველი, ტვირთამწე და ჯავშანმანქანა.

სხვადასხვა შეზღუდვა, მათ შორის, შესაბამება თუ არა ავტომანქანების არსებული რაოდენობა დადგენილების მოთხოვნებს.⁷⁷

სასაზღვრო პოლიციაში არ არის დამტკიცებული⁷⁸ შესაბამისი ნორმატიული აქტი, სადაც განსაზღვრული იქნება საჭირო სატრანსპორტო საშუალებების სახეობები და ოდენობა სასაზღვრო სექტორების მიხედვით.

სასაზღვრო სექტორებს სარგებლობაში აქვთ სხვადასხვა⁷⁹ სახის სატრანსპორტო საშუალებები გეოგრაფიული მდებარეობის და რელიეფური პირობებიდან გამომდინარე. შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, სასაზღვრო სექტორებზე სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა არ არის საკმარისი საქმიანობის ეფექტიანად განსახორციელებლად, ამასთანავე, უმრავლესობა წლის განმავლობაში ტექნიკურად გაუმართავია და პრაქტიკულად შეუძლებელია მათი გამოყენება,⁸⁰ რაც გამოწვეულია როგორც საბიუჯეტო სახსრების ნაკლებობით, ასევე შესაბამისი მომსახურების შესყიდვის პროცესში დაშვებული დარღვევა-ნაკლოვანებებით.⁸¹

დღეის მდგომარეობით სასაზღვრო პოლიციაში 208 სატრანსპორტო საშუალება იმყოფება დაშლილ მდგომარეობაში და საკითხი შესწავლილია გენერალური ინსპექციის მიერ. გარდა ამისა, 38 სატრანსპორტო საშუალება საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას. აუდიტის ობიექტის განმარტებით, მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები, რათა გადაწყდეს მათი აღდგენა ან ბალანსიდან ჩამოწერა და სარეალიზაციოდ გადაცემა.

კვადროციკლების უმეტესობა ექსპლუატაციაში არ იმყოფება, ვინაიდან ვერ ხორციელდება მათი დროული შეკეთება და პრაქტიკულად გამოუსადეგარია უწყებისთვის, რაც მნიშვნელოვან ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენს სასაზღვრო პოლიციისათვის ძირითადი ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისთვის. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, კვადროციკლების მოვლა-შენახვა ფინანსურად დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, როგორც მათი ტექ-მომსახურების, ასევე საწვავის მოხმარების კუთხით. ამასთანავე, რელიეფური პირობებიდან გამომდინარე, ისინი ხშირად გამოდიან მწყობრიდან და საჭიროებენ შესაბამის სერვისებს, რაც საქართველოში არასაკმარისად არის განვითარებული. ასევე მიუთითებენ, რომ გაცილებით ხარჯეფექტური აღმოჩნდა DTRA-ს მიერ გადმოცემული ავტომანქანები SUZUKI JIMNY, რომლებსაც ზოგიერთ სექტორში უკეთესად და იაფად შეუძლიათ შეასრულონ იგივე ფუნქციები, რასაც კვადროციკლები ასრულებენ.

დასკვნა

სასაზღვრო პოლიციაში არსებული ავტომანქანები არ არიან კლასიფიცირებული სარგებლობის დადგენილი ფორმების მიხედვით, ამიტომ ვერ დგინდება:

) მათი ფუნქციები (განპიროვნებულია, სამორიგეო თუ ოპერატიული);

⁷⁷ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილების მე-3 და მე-5 მუხლები.

⁷⁸ არსებობს სამუშაო ვერსია.

⁷⁹ ავტომანქანები, კვადროციკლები, თოვლმავლები და ყველაგან მავლები.

⁸⁰ აუდიტის ჯგუფის მიერ მივლინების ფარგლებში დაფიქსირდა, რომ 2022 წლის მდგომარეობითაც ანალოგიური ვითარებაა და სატრანსპორტო საშუალებები იმყოფებოდნენ გაჩერებულ მდგომარეობაში.

⁸¹ იხილეთ სახელმწიფო შესყიდვების თავი.

-)/ ვრცელდება თუ არა მათზე მთავრობის დადგენილებით დაწესებული სხვადასხვა შეზღუდვები;
-)/ ავტომატური არსებული რაოდენობა შეესაბამება თუ არა დადგენილების მოთხოვნებს.

ყოველივე ზემოაღნიშნული ხელს უშლის დადგენილებით განსაზღვრული მიზნის, სახელმწიფო ავტოპარკის ოპტიმიზაციის მიღწევას და შესაბამისი ხარჯების შემცირებას.

სასაზღვრო პოლიციაში შესაბამისი ნორმატიული აქტით არ არის განსაზღვრული საჭირო სატრანსპორტო საშუალებების სახეობები და რაოდენობები სასაზღვრო სექტორების მიხედვით, ხოლო სასაზღვრო სექტორებზე ამჟამად არსებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა და ტექნიკური მდგომარეობა არ შეესაბამება განსაზღვრულ მოთხოვნებს. აღნიშნული გარემოებები ზეგავლენას ახდენს სასაზღვრო პოლიციის საქმიანობის განხორციელების პროცესზე.

საწვავის არამიზნობრივი ხარჯვის პრევენციული მექანიზმების ნაკლოვანებები

სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციით, საწვავის არამიზნობრივი ხარჯვისაგან თავის არიდების მიზნით, შესყიდვების სააგენტო პრიორიტეტულად მიიჩნევს საწვავით გამართვა განხორციელდეს აგაი სისტემის გამოყენებით, ვინაიდან სხვა საშუალებები ვერ უზრუნველყოფენ საწვავის ხარჯვაზე სათანადო კონტროლს.⁸²

აუდიტის პერიოდში სასაზღვრო პოლიციის სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, საწვავი გაიცემოდა როგორც აგაი სისტემის, ასევე ტალონების და შესაბამისი პლასტიკური ბარათების საშუალებით. 2019-2020 წლებში სულ გაიცა 4,142,008 ლიტრი საწვავი, საიდანაც 62% (2,562,601 ლიტრი) გაცემულია ტალონების და პლასტიკური ბარათებით, ხოლო 38% (1,579,407 ლიტრი) – აგაი სისტემის მეშვეობით. შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, არსებული მდგომარეობით ავტოპარკი სრულად არის გადასული აგაი სისტემის გამოყენებაზე.

საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯის რისკის შემცირების მიზნით, მნიშვნელოვანია სასაზღვრო პოლიციაში დანერგილი იყოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები. დღეის მდგომარეობით არსებული კონტროლის მექანიზმები სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას. მაგალითად, შსს-ს გენერალური ინსპექციის დასკვნის თანახმად,⁸³ სანაპირო დაცვის დეპარტამენტის შემოწმებისას გამოვლინდა, რომ 2020 წელს სატვირთო და სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების საგზურის ფურცლებში მძღოლების მიერ შეყვანილი ინფორმაცია არ შეესაბამებოდა რეალობას და დარღვეული იყო საგზურის ფურცლების წარმოების წესი. კერძოდ, მექანიკურად იყო გაზრდილი ავტომატური ხარჯვის მანძილი და

⁸² <http://www.procurement.gov.ge/ka/page/rekomendation-agai>.

⁸³ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ 2021 წლის 30 მარტიდან 18 აპრილამდე პერიოდში შემოწმებული იქნა შსს სსდ-საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მიერ საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა, რის შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება.

ადგილზე მუშაობის საათები,⁸⁴ რის შედეგად საწვავი ზედმეტად ჩამოიწვებოდა. ზემოაღნიშნული დასკვნით, შესაბამის პირებს დაეკისრათ ზარალის ანაზღაურება და სხვადასხვა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობა.

აუდიტის ჯგუფის მიერ შემოწმდა სანაპირო დაცვის დეპარტამენტის სატრანსპორტო საშუალებების 2019 წლის საგზურის ფურცლები და გამოვლინდა, რომ 2019 წელსაც ანალოგიური მდგომარეობა იყო. კერძოდ: საგზურის ფურცლების მიხედვით, ზოგიერთ შემთხვევაში ავტომანქანები ადგილზე მუშაობდნენ არალოგიკურად დიდი ხნის განმავლობაში (პირველ დაქოქვაზე - თითქმის 1 საათი), რაც არარეალურია და საწვავის მითვისების რისკებს შეიცავს.

სასაზღვრო პოლიციაში შიდა კონტროლის არსებული მექანიზმების საშუალებით გამოვლენილია (გენერალური ინსპექციის მიერ) აგრეთვე სამსახურებრივი ავტომანქანების არადანიშნულებისამებრ გამოყენების ფაქტები. კერძოდ, თანამშრომლის შვებულებაში გასვლის შემთხვევაში, ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია ავტომანქანის გაჩერების, ან სხვა პირზე გადაცემის შესახებ. ამასთანავე, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ავტომანქანის საწვავით გამართვა განხორციელდა თანამშრომლის შვებულებაში ყოფნის პერიოდში. გენერალური ინსპექციის ზემოთ მითითებული დასკვნით აღნიშნულ თანამშრომლებსაც დაეკისრათ უწყებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება და შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობა.

დასკვნა

სასაზღვრო პოლიციაში არსებული შიდა კონტროლის მექანიზმები სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს საწვავის არამიზნობრივი ხარჯვის პრევენციას. სატვირთო და სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების საგზურის ფურცლებში გაზრდილია ავტომანქანების განვლილი მანძილი და ძრავის ადგილზე მუშაობის საათები, რის შედეგადაც განხორციელდა საწვავის ზედმეტად ჩამოწვრა.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი ავტომანქანების შვებულებაში ყოფნის დროს გამოყენების, მათ შორის საწვავის ჩასხმის ფაქტები.

რეკომენდაცია N10

საქართველოს სასაზღვრო პოლიციას

ავტოპარკის ოპტიმიზაციისა და რაციონალური მართვის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი ნორმატიული აქტით განისაზღვროს საჭირო სატრანსპორტო საშუალებების სახეობები და რაოდენობები სასაზღვრო სექტორების მიხედვით და განხორციელდეს შესაბამისი ღონისძიებები ავტოპარკის შევსებისა და ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

რეკომენდაცია N11

სამსახურებრივი ავტომანქანების არადანიშნულებისამებრ გამოყენების და საწვავის არამიზნობრივი ხარჯვის პრევენციის მიზნით, შეიმუშავოს და დანერგოს შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს:

⁸⁴ აღნიშნულ სპეციალურ ავტომანქანებს გარკვეული დრო ესაჭიროებათ, იმუშაონ ადგილზე ძრავის გასათბობად და სისტემის ჰაერით შესავსებად.

- J) თანამშრომლის მიერ, შვებულებაში ყოფნის დროს, სამსახურებრივი ავტომატების გამოყენების, მათ შორის, საწვავის ჩასხმის ფაქტების აღმოფხვრას;
- J) საწვავის ზედმეტად ჩამოწერის პრევენციას, განსაკუთრებით სატვირთო და სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებებზე.

2.1.6 მცირეფასიანი ინვენტარი, სასაქონლო მატერიალური მარაგები და სხვა აქტივები

გამოუყენებელი მცირეფასიანი ინვენტარის და სასაქონლო მატერიალური მარაგების ჩამოწერის პრობლემები

სასაზღვრო პოლიციაში გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი, გამოუყენებელი ან დაკარგული ქონების ჩამოწერა უნდა განხორციელდეს მინისტრის მიერ დამტკიცებული დებულების⁸⁵ შესაბამისად, რომლის მიხედვით, ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილ გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილ და დაკარგულ ქონებაზე შესაბამისი საინვენტარიზაციო კომისია ამზადებს ძირითადი აქტივების ჩამოწერის აქტებს და წარუდგენს შესაბამისი საბალანსო ერთეულის ჩამოწერის კომისიას. იმ შემთხვევაში, როდესაც საბალანსო ერთეულის საინვენტარიზაციო კომისია ვერ ადგენს ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების ვარგისიანობას ან/და ღირებულებას, იწვევენ დამოუკიდებელ აუდიტორს ან ექსპერტს.

სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე ირიცხება დიდი ოდენობის ამორტიზებული, ან ვარგისი, მაგრამ გამოუყენებელი მცირეფასიანი ინვენტარი და სასაქონლო მატერიალური მარაგები, რომელთა ჩამოწერა წლების განმავლობაში ვერ ხერხდება. მაგალითად:

- ✓ სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველოს კუთვნილი 25 ტონიანი 11 რეზერვუარი (ჯამური საბალანსო ღირებულებით - 1,617.0 ლარი), კოროზირებულია და წლების განმავლობაში, საინვენტარიზაციო აღწერილობებში აღირიცხება როგორც გამოუსადეგარი;
- ✓ ამავე სტრუქტურული ქვედანაყოფის საწყობებში ინახება 400 ლიტრი არაკონდიციონირებული საავიაციო ნავთი, რომლის გამოყენება პირდაპირი დანიშნულებით დაუშვებელია;
- ✓ სასაზღვრო პოლიციის N4 სამმართველოს (დედოფლისწყარო) ბალანსზე ირიცხება 95.1 ათასი ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების 63 დასახელების დაზიანებული საინჟინრო-ტექნიკური საშუალებები (დამისხედვის ხელსაწყოები, ბინოკლები, ბენზოგენერატორები და სხვ.), აგრეთვე სხვადასხვა სიმძლავრის აკუმულატორები (როგორც ავტომატების ისე გენერატორის), რომელთა ჩამოწერა, მოქმედი წესებით,⁸⁶ შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავისი ტექნიკური მდგომარეობის გამო არ შეიძლება გარემონტდეს და გამოყენებულ იქნეს დანიშნულებისმეორე, ან/და, თუ მისი აღდგენა არარენტაბელურია. ასეთი დასკვნის გაცემა მხოლოდ ექსპერტს შეუძლია. სამმართველოს ხელმძღვანელობამ 2019 წელს რამდენჯერმე მიმართა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, სხვადასხვა სახის საინჟინრო-ტექნიკური საშუალებების და აკუმულატორების

⁸⁵ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 27 მარტის N393 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი, გამოუყენებელი ან დაკარგული ქონების ჩამოწერისა და აღრიცხვიდან მოხსნის დებულების“ პირველი მუხლი.

⁸⁶ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 27 მარტის N393 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი, გამოუყენებელი ან დაკარგული ქონების ჩამოწერისა და აღრიცხვიდან მოხსნის დებულების“ მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

ვარგისიანობის დადგენის მიზნით. ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროდან მიღებული პასუხებით⁸⁷ კი ირკვევა, რომ ტექნიკური საშუალებებისა და სპეციალისტის არარსებობის გამო, ექსპერტიზას ვერ ჩაატარებენ.

- ✓ სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ბალანსზე წლების განმავლობაში ირიცხება გამოუყენებელი სახარატო, საბურღი და საჭრელი ჩარხები, საფრეზი დაზგები და სხვა სახის ტექნიკური საშუალებები, აგრეთვე კავშირგაბმულობის და სხვა სახის მატერიალური ფასეულობები, რომელთა ვარგისიანობის დასადგენად დეპარტამენტის მიერ 2018-2019 წლებში ორჯერ გაიგზავნა წერილი ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, საიდანაც დეპარტამენტმა იმავე მოტივით უარი მიიღო.

დასკვნა

სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე წლების განმავლობაში ირიცხება დიდი ოდენობით გამოუყენებელი მცირეფასიანი ინვენტარი და სასაქონლო მატერიალური მარაგები, რაც ზედმეტ ტვირთად აწევს მას, თუმცა ასეთი ქონების შემდგომი განკარგვის მიზნით სათანადო აქტივობები არ ხორციელდება ან მოქმედი სამართლებრივი ბაზის პირობებში, ვერ ხერხდება კანონიერი გზებით მათი განკარგვა. შედეგად, უარესდება აღნიშნული ქონების ფიზიკური მდგომარეობა და, შესაბამისად, მცირდება მათი ღირებულება.

რეკომენდაცია N12

საქართველოს სასაზღვრო პოლიციას

პროდუქტიულობის უზრუნველსაყოფად, გაატაროს ქმედითი ღონისძიებები სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან ვარგისი, მაგრამ გამოუყენებელი მცირეფასიანი ინვენტარისა და სასაქონლო მატერიალური მარაგების, შემდგომი განკარგვის მიზნით. საჭიროების შემთხვევაში, მიმართოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, შიდა ნორმატიულ ბაზაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობის დასაბუთებით.

კვების პროდუქტების ხარჯვის ნაკლოვანებები

აუდიტის პერიოდში სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა კვებითი უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს სასაზღვრო პოლიციის უფროსის⁸⁸ შესაბამისი ბრძანების N2 დანართის⁸⁹ ნორმა N1-ის შესაბამისად, რომლითაც განსაზღვრულია სურსათის დასახელებები და საყაზარმე კვების დღიური ნორმები.

მოსამსახურეთა საყაზარმე კვების პროცესში ძირითადი პროდუქტი სისტემატურად იცვლებოდა სხვა პროდუქტით, თუმცა მარეგულირებელი აქტებით არ არის კონკრეტულად მითითებული, რა შემთხვევაში, რა სიხშირით და რა მოცულობითაა დასაშვები ძირითადი პროდუქტის სხვა პროდუქტით შეცვლა, რაც წარმოშობს არათაბარზომიერი ჩანაცვლებისა და არაეკონომიურობის რისკებს.

⁸⁷ სანაპირო დაცვის დეპარტამენტის 2018 წლის 26 სექტემბრის N02349030 და 2019 წლის 21 თებერვლის N00459094 წერილები და ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2019 წლის 24 მაისის N5003286619 და 2019 წლის 27 თებერვლის N5001234219 პასუხები.

⁸⁸ „შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა საწვინო ქონებით უზრუნველყოფისა და საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურე ცხოველების სასურსათო უზრუნველყოფის ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2014 წლის 17 იანვრის N7 ბრძანება.

⁸⁹ საერთო საჯარისო სასურსათო იჯრა საყაზარმე კვების (საქვაზე კმაყოფაზე ყოფნის) პირობებში.

რეკომენდაცია N13

საქართველოს სასაზღვრო პოლიციას

კვების ნორმების რაციონალიზაციისა და საბიუჯეტო სახსრების ეკონომიური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, განიხილოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2014 წლის 17 იანვრის N7 ბრძანებაში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობის საკითხი ძირითადი პროდუქტის სხვა პროდუქტით შეცვლის, ნორმების, სანივთე ქონების გაცემის ვადების და სხვა მნიშვნელოვანი ნიუანსების დაზუსტებისა და დაკონკრეტების თვალსაზრისით;

2.1.7 აქტივების
ინვენტარიზაციასტრუქტურულ ქვედანაყოფებში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგების
გადაუმოწმებლობა

ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული ფაქტობრივი ნაშთების დასადგენად, ისეთი აქტივების გამოსავლენად, რომელთაც ორგანიზაციისათვის არ მოაქვს ეკონომიური სარგებელი, აქტივების შენახვის/დაცვის/ექსპლუატაციის წესებისა და პირობების შესამოწმებლად სავალდებულოა ყოველწლიური ინვენტარიზაციის ჩატარება.⁹⁰ ამ მიზნით სასაზღვრო პოლიციის ცენტრალურ აპარატში იქმნება მუდმივმოქმედი (ცენტრალური) საინვენტარიზაციო კომისია,⁹¹ ხოლო სტრუქტურულ ქვედანაყოფებში⁹² იქმნება ადგილობრივი საინვენტარიზაციო კომისიები, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან ცენტრალური საინვენტარიზაციო კომისიის წინაშე. ცენტრალურ საინვენტარიზაციო კომისიას აქვს უფლებამოსილება, თავისი გადაწყვეტილებით გადაამოწმოს სამმართველოებში შექმნილი კომისიების მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის მიმდინარეობა ან/და შედეგები.

აუდიტის პერიოდში ორჯერ (2019-2020 წლებში) ჩატარდა ყოველწლიური ინვენტარიზაცია, რომლებიც ცენტრალურ აპარატსა და სტრუქტურულ ერთეულებში დამოუკიდებლად განხორციელდა, თუმცა ცენტრალურ საინვენტარიზაციო კომისიას არ გამოუყენებია თავისი უფლებამოსილება, გადაემოწმებინა სამმართველოებში შექმნილი კომისიების მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის მიმდინარეობა ან/და შედეგები.

ცენტრალური საინვენტარიზაციო კომისიის მიერ სტრუქტურული ერთეულების მიერ დამოუკიდებლად ჩატარებული ინვენტარიზაციების მიმდინარეობის ან/და შედეგების შერჩევითი გადამოწმების აუცილებლობაზე მიუთითებს გენერალური ინსპექციის მიერ სანაპირო დაცვის დეპარტამენტში 2021 წელს (20 მარტიდან 18 აპრილამდე) ჩატარებული შემოწმებით დაფიქსირებული მნიშვნელოვანი შეუსაბამოებები. კერძოდ, გენერალური ინსპექციის მიერ მხოლოდ მცურავი საშუალებების სათადარიგო ნაწილების საწყობში დანაკლისის სახით გამოვლინდა 211 დასახელების, ზედმეტობის სახით კი – 98 დასახელების, სხვადასხვა რაოდენობის სათადარიგო ნაწილები;

⁹⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ პირველი მუხლის მე-9 პუნქტი და მე-2 მუხლი.

⁹¹ სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2019 წლის 16 მაისის N152, 2019 წლის 1 ოქტომბრის N307 და 2020 წლის 2 ოქტომბრის N381 ბრძანებები.

⁹² საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის N1-10 სამმართველოები და საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტი.

აგრეთვე დაფიქსირდა სააღრიცხვო მონაცემებთან შეუსაბამო 245 დასახელების, სხვადასხვა რაოდენობის მატერიალური ფასეულობები.⁹³

აღნიშნული ხარვეზები უნდა გამოვლენილიყო 2020 წლის ინვენტარიზაციის ფარგლებში, საინვენტარიზაციო კომისიის მიერ დაკისრებული მოვალეობის ჯეროვნად შესრულების პირობებში.

სხვადასხვა რაოდენობის მატერიალური ფასეულობების დანაკლისი ან ზედმეტობა დაფიქსირდა სხვა საწყობებშიც.

ინვენტარიზაციის ჩატარება არაოფიციალური სამუშაო ჯგუფების მიერ

აუდიტის პერიოდში მოქმედი წესებით, ინვენტარიზაციის დროს ორგანიზაციის იმ არაფინანსური აქტივების, რომლებიც შენახულია/განთავსებულია ტერიტორიულად განცალკევებულ ადგილებში, საინვენტარიზაციო აღწერა შესაძლოა ჩატარებულიყო სამუშაო ჯგუფების მიერ, ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე.⁹⁴ ამავე დროს, ინვენტარიზაციის ჩატარება საინვენტარიზაციო კომისიის წევრთა არასრული შემადგენლობით დაუშვებელია. ხოლო, საინვენტარიზაციო კომისიის არასრული შემადგენლობით ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგები ითვლება ბათილად.⁹⁵

სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური საინვენტარიზაციო კომისიის შემადგენლობა მრავალრიცხოვანია (17-22 კაცი). არსებული პრაქტიკით, ინვენტარიზაციის დაწყებისას შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გარეშე ხდება კომისიის წევრების გადანაწილება ჯგუფებად, ანუ ოფიციალურად სამუშაო ჯგუფები არ იქმნება. თითოეული არაოფიციალური ჯგუფი უშუალოდ ახორციელებს ინვენტარიზაციას კონკრეტულ ობიექტზე. შესაბამისად სასაზღვრო პოლიციის ცენტრალურ აპარატში ერთდროულად რამდენიმე ობიექტზე მიმდინარეობს ქონების აღწერასთან დაკავშირებული სამუშაოები. ჯგუფების მიერ გაფორმებულ ინვენტარიზაციის აქტებს შესაბამისი ჯგუფის წევრების გარდა, ხელს აწერენ კომისიის ის წევრებიც, რომლებიც ფაქტობრივად არ მონაწილეობდნენ კონკრეტული აქტივების აღრიცხვის პროცესში. ამასთანავე, ისეთი ქონების აღწერას, რომელიც მდებარეობს დიდი მანძილის დაშორებით, აგრეთვე საბინაო ფონდის ინვენტარიზაციას, ძირითადად, ფორმალური ხასიათი აქვს და რეალურად საბუღალტრო მონაცემები გადააქვთ საინვენტარიზაციო აღწერილობაში, ყოველგვარი ადგილზე მისვლის, დათვალიერებისა და მოკვლევის გარეშე.⁹⁶

⁹³ რომელთა „სანომრე აღრიცხვა და დასახელებები არ ემთხვევა სააღრიცხვო დოკუმენტებში არსებულ მონაცემებს, რის გამოც შეუძლებელია მათი იდენტიფიცირება ან/და ჩათვლა“.

⁹⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი.

⁹⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-18 პუნქტი.

⁹⁶ მაგალითად, ცენტრალური აპარატის ბალანსზე ირიცხება ბაღდათის მუნიციპალიტეტის კურორტ ზეკარში არსებული 3431 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული 5 ერთეული შენობა-ნაგებობით. ქონების ინვენტარიზაცია ორივე წელს ადგილზე მისვლის გარეშე ჩატარდა.

უსარგებლო აქტივების გამოვლენაში არსებული ნაკლოვანებები

ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ისეთი აქტივების გამოვლენა, რომელთაც ორგანიზაციისათვის არ მოაქვს ეკონომიკური სარგებელი.

სასაზღვრო პოლიციაში არსებული უვარგისი ქონება აღირიცხება ცალ-ცალკე სამმართველოების და სექტორების მიხედვით, თუმცა ზოგ შემთხვევაში უკვე დოკუმენტურად აღიარებული გამოუყენებელი ქონების შესახებ სათანადო ინფორმაცია საინვენტარიზაციო უწყისებში არ აისახება. მაგალითად, ცენტრალური აპარატის ბალანსზე ირიცხება სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველოს ტერიტორიაზე⁹⁷ განთავსებული 2 შენობა-ნაგებობა, რომლებიც გამოუყენებელია, რადგან მნიშვნელოვნად არის დაზიანებული,⁹⁸ ანუ, შენობები დოკუმენტურად არის აღიარებული უვარგისად, თუმცა საინვენტარიზაციო აქტებში ფიქსირდება, როგორც ვარგისი.

არის შემთხვევები, როდესაც გარკვეული სახის ქონება უვარგისი არ არის, მაგრამ მისი გამოყენების პერსპექტივა აღარ არსებობს, თუმცა ამის შესახებ ასევე არ ფიქსირდება ინვენტარიზაციის აქტებში. მაგალითად, N3 სამმართველოს ბალანსზე ირიცხება 8 ერთეული ხელის არატაქტიკური უმტ⁹⁹ რადიოსადგური MOTOROLA GP 340, ხოლო ცენტრალური აპარატის კავშირგაბმულობის საწყობში სხვადასხვა სახეობის კავშირგაბმულობის საშუალებები, რომელთა შემდგომი გამოყენების პერსპექტივა აღარ არსებობს, რადგან ისინი მოძველებულია და არათავსებადია ახალ სისტემებთან, თუმცა ამის შესახებ აღნიშნული არ არის საინვენტარიზაციო უწყისებში.¹⁰⁰

დანაკლისის ანაზღაურების პრობლემა

ინვენტარიზაციისას გამოვლენილი აქტივების დანაკლისის ანაზღაურება ეკისრებათ მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს.¹⁰¹

სასაზღვრო პოლიციის შეიარაღების საწყობში 2016 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციით, დანაკლისის სახით გამოვლინდა 5 დასახელების 124 ერთეული საბრძოლო მასალა, რომელიც უწყებას აღირიცხული ჰქონდა ფასის გარეშე. შსს-ს გენერალური ინსპექციის ჩატარებული მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ქონება ჩამოწერილიყო მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ხარჯზე.

აღნიშნული დანაკლისი დაფარული არ არის, რადგან ერთი დასახელების საბრძოლო მასალის გარდა, ვერ მოხერხდა დანაკლისად დაფიქსირებული

⁹⁷ ქ.თბილისში, ლ. დავითაშვილის ქუჩა N2-ში.

⁹⁸ აღნიშნულს ადასტურებს შსს-ს 2015 წლის 29 აპრილის საექსპერტო დასკვნა, სადაც მითითებულია, რომ „კედლები ნაწილობრივ დაშლილია, ხოლო არსებულ კედლებს გააჩნია გამჭოლი ზხარები“, ამიტომ არსებული სახით იგი „უვარგისია შემდგომი ექსპლოატაციისათვის, მასზე აღდგენითი-სარემონტო სამუშაოების ჩატარება მიზანშეწონილი არ არის“.

⁹⁹ ულტრამოკლეტალღოვანი.

¹⁰⁰ კავშირგაბმულობის საწყობის 2021 წლის საინვენტარიზაციო აღწერილობაში დაფიქსირებულია 497 დასახელების ქონებიდან, 220 დასახელების ქონება, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 1,355.5 ათასი ლარი (147 ერთეული ქონება ფასის გარეშეა) წლების განმავლობაში აღარ გამოიყენება. მათ შორის აღსანიშნავია: სხვადასხვა მოდიფიკაციის ხელის, სამანქანო, სტაციონარული და ზურგის არატაქტიკური უმტ რადიოსადგურები და მათი დასამუხტი მოწყობილობები, რეტრანსლიატორები, რადიოსადგურების აკუმულატორები, ანტენები და კავშირგაბმულობის დანიშნულების სხვა აქტივები.

¹⁰¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

ქონების საბაზრო ფასის დადგენა, მიუხედავად იმისა, რომ უწყებამ თხოვნით მიმართა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, თავდაცვის სამინისტროს და შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს.

დასკვნა

სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში ჩატარებული ინვენტარიზაციის მდგომარეობის გადამოწმება ცენტრალური საინვენტარიზაციო კომისიის მიერ პრაქტიკულად არ ხდება.

სასაზღვრო პოლიცია ოფიციალურად არ იყენებს მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებას, რათა ტერიტორიულად განცალკევებულ ადგილებში ინვენტარიზაცია განახორციელოს სამუშაო ჯგუფების საშუალებით, თუმცა რეალურად, მხოლოდ კომისიის წევრებისაგან შემდგარი არაოფიციალური ჯგუფები ატარებენ ინვენტარიზაციას და არა საინვენტარიზაციო კომისიის სრული შემადგენლობა, რის გამოც მოქმედი კანონმდებლობით, პროცესი ბათილად უნდა ჩაითვალოს. ამასთანავე, იმ უძრავი ქონების აღწერა, რომელიც ტერიტორიულად ძალზე დაშორებულია ცენტრალური აპარატის ოფისიდან, ძირითადად, ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ზოგიერთ შემთხვევაში სასაზღვრო პოლიციაში ირიცხება ისეთი ქონება, რომელსაც არ მოაქვს ეკონომიკური სარგებელი, თუმცა ამის შესახებ არ ფიქსირდება საინვენტარიზაციო უწყისებში და შესაბამისად არც საინვენტარიზაციო კომისიის მსჯელობის საგანი ხდება. აღნიშნული ტიპის ქონება თანდათანობით კარგავს ღირებულებას, თუმცა მისი შემდგომი მართვის საკითხი გადაწყვეტილი არ არის.

სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე ირიცხება სხვადასხვა დასახელების, მნიშვნელოვანი რაოდენობის იარაღი და საბრძოლო მასალა, რომლებიც ნულოვანი ღირებულებითაა ასახული. აღნიშნულის გამო, ერთის მხრივ ფინანსურ ანგარიშგებაში არასრულად აისახება აქტივების ჯამური ღირებულება, ხოლო მეორეს მხრივ, დანაკლისად დაფიქსირების შემთხვევაში შემთხვევაში, ვერ დგინდება მათი ღირებულება, რათა მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს დაეკისროთ შესაბამისი თანხის ანაზღაურება. მოქმედი ნორმატიული ბაზით აღნიშნული საკითხი დარეგულირებული არ არის.

რეკომენდაცია N14

საქართველოს სასაზღვრო პოლიციას

ყოველწლიური სავალდებულო ინვენტარიზაციის ეფექტიანად ჩატარების მიზნით:

- 1) ცენტრალურ აპარატში შექმნილი მუდმივმოქმედი (ცენტრალური) საინვენტარიზაციო კომისიის მიერ, შერჩევით განხორციელდეს საბალანსო ერთეულებში შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიების მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის მიმდინარეობის ან/და შედეგების გადამოწმება;
- 2) ინვენტარიზაციის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს აქტივების გამოვლენის საკითხს, რომელთაც ორგანიზაციისათვის არ მოაქვს ეკონომიკური სარგებელი და დროულად მიიღოს გადაწყვეტილება მათი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგვის თაობაზე.

2.2 სახელმწიფო შესყიდვები

2019-2020 წლების ასიგნებების ფარგლებში სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატის მიერ სულ გაფორმებული 1,204 ხელშეკრულება ღირებულებით – 56,514.0 ათასი ლარი, ხოლო საბალანსო ერთეულების მიერ¹⁰² 40, ღირებულებით – 51.4 ათასი ლარი.

ცხრილი N5. ინფორმაცია 2019-2020 წლების საბიუჯეტო ასიგნებებით სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში ცენტრალური აპარატის მიერ განხორციელებული შესყიდვების შესახებ¹⁰³

დასახელება	2019 წელი			2020 წელი		
	რაოდ.	თანხა	%	რაოდ.	თანხა	%
სულ ხელშეკრულებები	671	30,003,406		533	26,510,592	
ელექტრონული შესყიდვით	210	14,202,321	47%	174	15,868,217	60%
ტენდერით	98	3,127,844	10%	76	5,205,756	20%
კონსოლიდირებული ტენდერით	69	2,756,597	9%	77	7,487,973	28%
ერთობლივი ხელშეკრულებები	6	2,147,386	7%	1	2,492,622	9%
წინა წლებში ტენდერით	8	580,664	2%	1	6,300	0%
წინა წლებში ერთობლივი	22	524,094	2%	1	186,666	1%
წინა წლებში კონს. ტენდერით	7	5,065,736	17%	18	488,900	2%
გამარტივებული შესყიდვა	461	15,801,085	53%	359	10,642,375	40%

2.2.1 სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა

შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს მხოლოდ წინასწარ დამტკიცებული და რეგისტრირებული გეგმის შესაბამისად. გეგმის ნებისმიერი პარამეტრის ცვლილება ხორციელდება ePLAN-ში, დადგენილი მოთხოვნების მიხედვით.¹⁰⁴

შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა, შესყიდვის ობიექტთა ერთგვაროვნება, ბაზრის გამოკვლევის შედეგები, შესყიდვის საშუალების შერჩევის საფუძველი, გრძელვადიანი ხელშეკრულებებით ან წინა წელს დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებები მიმდინარე წლისათვის და ა.შ.¹⁰⁵

2019-2020 წლებში სასაზღვრო პოლიციის მიერ სრულყოფილად ვერ განხორციელდა საჭირო რაოდენობის საქონლისა და მომსახურების შესყიდვა. აღნიშნული საბიუჯეტო სახსრების სიმცირესთან ერთად, განპირობებული იყო არასწორი დაგეგმვითა და სახელმწიფო შესყიდვების პროცესში არსებული სხვა ნაკლოვანებებით.

¹⁰² სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2020 წლის 14 აგვისტოს N295 ბრძანებით უფლებამოსილება მიენიჭა სანაპირო დაცვის დეპარტამენტს განხორციელებინა წლის განმავლობაში 15,000 ლარამდე ღირებულების გამარტივებული შესყიდვა საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში, ხოლო სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს - 5,000 ლარამდე.

¹⁰³ 2019 წელს გრანტის ფარგლებში ასევე გაფორმებულია 3 ხელშეკრულება, ღირებულებით 273,444 ლარი.

¹⁰⁴ „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანების მე-4 მუხლი.

¹⁰⁵ „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანების მე-4 მუხლის 6¹ პუნქტი.

სასაზღვრო პოლიციის სახელმწიფო შესყიდვების გეგმები გაცილებით ნაკლები საქონლისა და მომსახურების შესყიდვას ითვალისწინებდა, ვიდრე ამას სტრუქტურული ერთეულები მოითხოვდნენ. მაგალითად, 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების თავდაპირველი გეგმით გათვალისწინებული იყო 40,990.4 ათასი ლარის ღირებულების შესყიდვების განხორციელება, მაშინ როდესაც საბალანსო ერთეულების მიერ მოთხოვნილი იყო 62,127.94 ათასი ლარის ღირებულების საქონლისა და მომსახურების შესყიდვა.

აუდიტის ჯგუფისათვის ვერ იქნა მოწოდებული ინფორმაცია შესყიდვების გეგმებში კონკრეტული CPV-კოდებზე¹⁰⁶ განსაზღვრული საქონლის/მომსახურების და მასზე გათვალისწინებული თანხების გაანგარიშების შესახებ.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა როგორც დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხებსა და შესყიდვების თავდაპირველ გეგმას შორის, ასევე შესყიდვების თავდაპირველ და საბოლოო გეგმას შორის არსებული მნიშვნელოვანი სხვაობები და ცვლილებები, რაც გამოწვეულია შესყიდვების არასწორი დაგეგმვით და არასათანადო განხორციელებით.

ცხრილი N6. ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში გათვალისწინებული თანხების შესახებ

	დამტკიცებული ბიუჯეტი სახელმწიფო შესყიდვებისათვის განსაზღვრული თანხა			შესყიდვების გეგმის ღირებულება		სხვაობა თავდაპირ. და ბოლო გეგმას შორის	სხვაობა დამტკიც. ბიუჯეტსა და შესყიდვ. თავდაპირვ. ელ გეგმას შორის
	საქონელ ი და მომსახ. ¹⁰⁷	არაფინანს. ს.აქტ. ზრდა	სულ	თავდაპირველი	ბოლო		
2019	12,736,000	8,000,000	20,736,000	40,990,372	29,588,382	11,401,990	-20,254,372
2020	11,374,460	2,000,000	13,374,460	25,531,775	26,491,681	-959,906	-12,157,315

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2019-2020 წლების დამტკიცებული ბიუჯეტიდან სახელმწიფო შესყიდვებისთვის განსაზღვრული თანხა შეადგენს, შესაბამისად 20,736,000 და 13,374,460 ლარს, მაშინ როდესაც მხოლოდ წინა წლებში გაფორმებული ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების შესასრულებლად 2019 წელს გახარჯულმა თანხამ - 16,347,228.23 ლარი (თავდაპირველად განსაზღვრული თანხის 79%), ხოლო 2020 წელს - 8,584,791.82 ლარი (65%) შეადგინა, რაც დაგეგმვისას არ იყო გათვალისწინებული.

2019 წლის შესყიდვების თავდაპირველი გეგმა არ შეესაბამება აგრეთვე უწყების დამტკიცებული ბიუჯეტის პარამეტრებს. მაგალითად, შესყიდვების თავდაპირველი გეგმით 502 CPV კოდზე გათვალისწინებული იყო 16,376,064 ლარი,¹⁰⁸ მაშინ როდესაც დამტკიცებული ბიუჯეტით „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით მხოლოდ 8,000,000 ლარის საბიუჯეტო ასიგნებები იყო გათვალისწინებული.

¹⁰⁶ შესყიდვის ობიექტების კლასიფიკაციის სისტემა

¹⁰⁷ არ მოიცავს მივლინების, შტატგარეშე მოსამსახურეების, ატაშატის, ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, მოსაკრებლის, ბინის ქირის ხარჯს.

¹⁰⁸ თვითმფრინავების, რკინიგზის, საგზაო და საზღვაო მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება.

აუდიტის პერიოდში შესყიდვების თავდაპირველ და საბოლოო გეგმებს შორის გარკვეულ CPV-კოდებზე დაფიქსირდა მნიშვნელოვანი გადახრები, რაც დაგეგმვისადმი არსებული ფორმალური მიდგომის შედეგია. მაგალითად, 2020 წლის შესყიდვების თავდაპირველი გეგმით ზემოაღნიშნული CPV კოდით (502) შესყიდვის განხორციელება საერთოდ არ ყოფილა გათვალისწინებული, მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებში გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში თანხა სრულად არ იყო გადახდილი,¹⁰⁹ ამიტომ წლის განმავლობაში განხორციელდა ცვლილებები და აღნიშნული კოდით 7,884,269 ლარის ხარჯვა დაიგეგმა.

ცხრილი N7. ინფორმაცია 2019-2020 წლებში შესყიდვების თავდაპირველ და საბოლოო გეგმებს შორის მნიშვნელოვანი გადახრების შესახებ

CPV კოდი	2019 პირველი გეგმა	2019 საბოლოო გეგმა	სხვაობა	CPV კოდი	2020 პირველი გეგმა	2020 საბოლოო გეგმა	სხვაობა
181	160,460	46,680	(113,780)	181	160,460	1,190	(159,270)
183	206,980	-	(206,980)	314	350,000	103,185.60	(246,814.40)
184	803,800	272,615	(531,185)	386	130,000	-	(130,000)
452	3,513,490	1,283.58	(3,512,206.42)	452	6,190,035	-	(6,190,035)
454	300,000	85,355.34	(214,644.66)	454	800,000	16,775.56	(783,224.44)

შესყიდვების გეგმის პროცესში შესყიდვების განყოფილების მინიმალური და ფორმალური ჩართულობიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული გადახრების მიზეზების შესახებ დეტალური ინფორმაცია ვერ იქნა მოწოდებული.

გარდა შესყიდვების არასწორი დაგეგმვისა, გამოვლინდა, რომ აუდიტის პერიოდში შესყიდვები არ ხორციელდებოდა პრიორიტეტების გათვალისწინებით. გარკვეული საქონლის/მომსახურებისათვის შესყიდვის პროცედურები იწყებოდა დაგვიანებით და სეზონის გაუთვალისწინებლად, მათ შორისაა სანივთე ქონება, რომლის გაცემის ვადები და რაოდენობა რეგულირდება სასაზღვრო პოლიციის უფროსის ბრძანებით.¹¹⁰ არსებული პრაქტიკით, თუ უწყება დადგენილ ვადებში ვერ ახორციელებს თანამშრომლების უზრუნველყოფას შესაბამისი სანივთე ქონებით, რასაც სისტემატური ხასიათი აქვს, ახალი ვადის ათვლა იწყება ამ ქონების დაგვიანებით გაცემის თარიღიდან. ზემოაღნიშნული უარყოფით ზეგავლენას ახდენს თანამშრომელთა საჭირო ნივთებით აღჭურვისა და შესაბამისად, მათი მოტივაციის საკითხებზე. შესაბამისი მაგალითები წარმოდგენილია ცხრილში.

ცხრილი N8. ინფორმაცია სანივთე ქონების შესყიდვის პროცედურების დაწყების და მიწოდების ვადების შესახებ.

¹⁰⁹ შვეულმფრენის კაპიტალური რემონტის და მოდერნიზაციის მიზნით 2018 წლის 5 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულება N15/3-581.

¹¹⁰ „შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა სანივთე ქონებით უზრუნველყოფისა და საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა და სასამსახურე ცხოველების სასურსათო უზრუნველყოფის ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2014 წლის 17 იანვრის N7 ბრძანება;

ტენდერის N	შესასყიდი საქონლის დასახელება	საქონლის რაოდ.	ტენდერის გამოცხადების თარიღი	ხელშეკრ. გაფორმების თარიღი	მიღება- ჩაბარების თარიღი
NAT180012468	ზამთრის ფორმა კომუფლირებული	1500	08.08.2018	08.10.2018	21.02.2019
	ზამთრის ფორმა ლურჯი	300			22.02.2019
NAT190025488	ზამთრის ფორმა კომუფლირებული	1833	24.12.2019	11.08.2020	13.11.2020
	ზამთრის ფორმა ლურჯი	367			
	ზაფხულის ფორმა კომუფლირებული	5840			
	ზაფხულის ფორმა ლურჯი	1160			
CMR19017276 1	ზამთრის მაღალეკლიანი ფეხსაცმელი	3500		12.11.2019	27.12.2019
NAT200008261	ზაფხულის მაღალეკლიანი ფეხსაცმელი	3500	08.06.2020	19.11.2020	27.02.2021

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2019 წელს ზამთრის ფორმის მიწოდება განხორციელდა თებერვალში, ხოლო 2020 წელს, ზაფხულისთვის შესყიდული საქონლის მიწოდება – ნოემბერში. დაგვიანებით განხორციელდა აგრეთვე მესაზღვრეებისთვის ფეხსაცმლის მიწოდებაც.

აუდიტის პერიოდში არ მიმდინარეობდა წლის განმავლობაში ქვედანაყოფების მიერ მოთხოვნილი სანივთე ქონების დროულად და სრულყოფილად შესყიდვა და შესაბამისად, მიწოდება. მაგალითად:

ცხრილი N9. ინფორმაცია ქვედანაყოფების მიერ სანივთე ქონების მოთხოვნისა და მიწოდების შესახებ

ქვედანაყოფი	დასახელება	მოთხოვ. თარიღი	რაოდ.	მიწოდების თარიღი	რაოდ.
სანაპირო დაცვის დეპარტამენტი	ლურჯი ფორმა (ზაფხულის)	26.02.2019	300	26.02.2019	237
	მაღალეკლიანი ფეხსაცმელი (ზაფხული)	12.02.2019	513	15.03.2021 ¹¹¹	453
N1სამმართველო (ბათუმი)	მაისური (პოლო)	28.09.2020	622	29.09.2020	612
	მაისური მოკლე (ხაკისფერი)	28.09.2020	622	29.09.2020	602

2019 წლის 20 თებერვალს, სანაპირო დაცვის დეპარტამენტმა მოითხოვა თეთრი ფერის სააღლუმე ფორმის კომპლექტის შესყიდვა, რომლის შემადგენლობაშია კიტელი და შარვალი (მამაკაცის), პიჯაკი და ბოლო კაბა (ქალის), პერანგი, ქუდი, ჰალსტუხი, ინსიგნია, მაისური, ხელთათმანი, ქამარი, თეთრი ფერის ფეხსაცმელი და ა.შ. თუმცა 2020 წლის 13 იანვარს მიეწოდათ კომპლექტის შემადგენლობის მხოლოდ ნაწილი,¹¹² დანარჩენის შესყიდვა კი არ განხორციელდა.

¹¹¹ გაგზავნამდე რაოდენობის დაზუსტებისას მოითხოვეს 453 წყვილი;

¹¹² პიჯაკი და ბოლოკაბა (ქალის), კიტელი და შარვალი (მამაკაცის) პერანგი მოკლე სახელოიანი, პერანგი გრძელ სახელოიანი, ინსიგნია, ჰალსტუხი და ქუდი წინსაფრინი;

2.2.2 შესყიდვების განხორციელების პროცესი

არაეკონომიური შესყიდვა და სეზონურობის გაუთვალისწინებლობა

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვები განხორციელოს მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით, რათა უზრუნველყოს შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომა და თანასწორი მოპყრობა, რაციონალურად ხარჯოს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრები.¹¹³ აუდიტის პერიოდში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც შესყიდვების განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზებიდან გამომდინარე, გარკვეული საქონელი შესყიდულია არაეკონომიურად. ამასთანავე, დროში გაჭიანურდა როგორც მათი შესყიდვა, ისე – მიწოდება. მაგალითად:

ბრძანებით მესაზღვრეებისათვის ზამთრის მაღალყელიანი ფეხსაცმლის მიწოდების ნორმად დადგენილია 2 წელიწადში 1 წყვილი. აუდიტის პერიოდამდე, აღნიშნული საქონელი ბოლოს შესყიდულია 2016 წლის სექტემბერში და ხელშეკრულებით მიწოდების ვადად გათვალისწინებული იყო 90 კალენდარული დღე. 3500 წყვილი ზამთრის მაღალყელიანი ფეხსაცმლის შესყიდვის მიზნით 2018 წლის 26 ნოემბერს გამოცხადებული ტენდერი,¹¹⁴ სავარაუდო ღირებულებით 420,000 ლარი (ერთეული წყვილის ფასი 120 ლარი) დასრულდა უარყოფითი შედეგით, რისი მიზეზიც ტენდერში მონაწილე 2 პრეტენდენტის¹¹⁵ მიერ საქონლის ნიმუშებთან ერთად ექსპერტიზის შესაბამისი დასკვნის წარმოდგენლობა გახდა. პრეტენდენტს აღნიშნული დასკვნა უნდა წარმოედგინა 15 სამუშაო დღეში.¹¹⁶

უარყოფითი შედეგით დასრულდა იმავე საქონლის შესყიდვის მიზნით, 2019 წლის 8 მაისს გამოცხადებული ტენდერი.¹¹⁷ ტენდერში მონაწილე 4 პრეტენდენტიდან ერთის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამებოდა სატენდერო პირობებს, ერთმა პრეტენდენტმა კვლავ ვერ წარმოადგინა დასკვნა, ხოლო ორმა არ დააზუსტა სატენდერო დოკუმენტაცია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული ტენდერის კითხვა-პასუხის რეჟიმში, მიმწოდებლები აღნიშნავდნენ და ითხოვდნენ, რომ სატენდერო კომისიას განეხილა აშშ დოლარის კურსის ცვლილების გამო როგორც სავარაუდო ღირებულების ცვლილების, ასევე წინასწარი გადახდის (ავანსი) შესაძლებლობები. ასევე მიუთითებდნენ, რომ სატენდერო პირობებით მოთხოვნილი კვლევის ჩატარებისათვის და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენისთვის 24 სამუშაო დღე იყო საჭირო. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სატენდერო კომისიას სატენდერო პირობებში ცვლილება არ შეუტანია.

ტენდერის უარყოფითი შედეგით დასრულების შემდგომ, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, ხელშეკრულების გაფორმებისთვის ჩატარდა

¹¹³ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტები.

¹¹⁴ NAT180018348

¹¹⁵ ერთმა პრეტენდენტმა წარმოადგინა თუმცა არ იყო შესაბამისობაში სატენდერო მოთხოვნებთან.

¹¹⁶ ტენდერში მონაწილე 3 პრეტენდენტიდან 2-მა მოითხოვა შესაბამისი დასკვნის წარმოდგენაზე ვადის გაგრძელება, რომელიც დაუკმაყოფილეს და გაეზარდათ 5 სამუშაო დღით, თუმცა მაინც ვერ წარმოადგინეს.

¹¹⁷ NAT190009163, სავარაუდო ღირებულება - იგივე.

ელექტრონული ბაზრის კვლევა. სასაზღვრო პოლიციის მიერ შეირჩა კომპანია¹¹⁸, რომელიც ვალდებულებას იღებდა საქონელი მოეწოდებინა 142 ლარად (ერთეულის ფასი) 45 კალენდარულ დღეში, მიუხედავად იმისა, რომ ტენდერში მონაწილე სხვა კომპანია აღნიშნული საქონლის მიწოდებას უფრო დაბალ ფასად (127.50 ლარი) სთავაზობდა, 72 კალენდარულ დღეში.

ამასთანავე, შერჩეული კომპანია ითხოვდა საავანსო ანგარიშსწორებას სახელშეკრულებო ღირებულების 50%-ის ოდენობით და დასკვნის წარმოდგენას არა მოთხოვნილ ვადებში, არამედ საქონლის მიწოდებისას. მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება.

შესაბამისად, გადაუდებელი აუცილებლობით გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, მიწოდებელს დაუკმაყოფილდა ყველა ის მოთხოვნა, რაც იმავე საქონლის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის და შესაბამისად, უარყოფითი შედეგით დასრულების ძირითადი მიზეზი იყო და პოტენციური პრეტენდენტების მიერ აღნიშნულზე არაერთი მოთხოვნა იქნა დაფიქსირებული.

შედეგად, სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობების ცვლილებასთან ერთად, საქონლის შესყიდვა განხორციელდა ტენდერების სავარაუდო ღირებულებაზე 77.0 ათასი ლარით უფრო ძვირად, რაც ეწინააღმდეგება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით¹¹⁹ დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესს“.

სატენდერო დოკუმენტაციის არარელევანტური მოთხოვნები

2019 წლის 24 დეკემბერს ზაფხულისა და ზამთრის ფორმის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერის¹²⁰ სატენდერო დოკუმენტაციის 2.7.1.1 პუნქტით, ლოგისტიკის განყოფილების მოთხოვნით გათვალისწინებული იყო ქსოვილის ხარისხის სერტიფიკატის მოთხოვნა.¹²¹

ტენდერში მონაწილეობა მიიღო 6-მა პრეტენდენტმა, საიდანაც 3 დისკვალიფიცირდა ზემოაღნიშნული სერტიფიკატის შეუსაბამობის, ერთი პრეტენდენტი - დოკუმენტაციის დაუზუსტებლობის, ერთი კი - ყალბი დოკუმენტის წარმოდგენის გამო. შესაბამისად ხელშეკრულება გაფორმდა ყველაზე მაღალი ფასის მქონე პრეტენდენტთან, ღირებულებით - 974,000 ლარი. აუდიტის ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა ზემოაღნიშნული მოთხოვნის საფუძვლები. შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნული მოთხოვნა სასაზღვრო პოლიციის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულების მიერ ანალოგიური

¹¹⁸ შპს „ნიტექსი“, რომელიც აღნიშნული საქონლის შესყიდვისათვის გამოცხადებულ წინა ორ ტენდერში არ მონაწილეობდა.

¹¹⁹ 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი.

¹²⁰ NAT190025488.

¹²¹ კერძოდ, „დასამზადებელი საქონლის ქსოვილის მწარმოებლის სერტიფიკატი OEKO-TEX STANDARD 100, ან სხვა იდენტური სერტიფიკატი ევროპული აკრედიტაციის მქონე პირის მიერ გაცემული, რაც გულისხმობს, რომ მის მიერ დამზადებული ქსოვილი შეესაბამება ადამიანის ეკოლოგიურ მოთხოვნებს კანთან პირდაპირი შეხების დროს და აქვს უფლება, რომ წარმოებულ საქონელს ჰქონდეს OEKOTEX ან სხვა იდენტური მარკირება“.

ტიპის საქონლის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში არ ყოფილა გათვალისწინებული.

სატენდერო დოკუმენტაციით ზემოთ მითითებული სერტიფიკატის მოთხოვნის აუცილებლობა აუდიტის ობიექტის მიერ ვერ იქნა სათანადოდ არგუმენტირებული.

აუდიტის პერიოდში ხარვეზებით მიმდინარეობდა ასევე 5 წელზე მეტი წლოვანების კვადროციკლების ტექმომსახურების შესყიდვის პროცესი. აღნიშნული გამოვლენილ იქნა შსს-ს გენერალური ინსპექციის მიერ და მითითებულია შესაბამის დასკვნაშიც. კერძოდ, 2019 წლის 18 თებერვალს, კვადროციკლების შეკეთებისა და ტექმომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადდა ტენდერი,¹²² სადაც მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა,¹²³ რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება¹²⁴ ღირებულებით 70,000 ლარი. სატენდერო დოკუმენტაცია ითვალისწინებდა, რომ პრეტენდენტს საკუთრებაში ან/და სარგებლობაში უნდა ჰქონოდა სერვის-ცენტრი.

დასკვნის მიხედვით, გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სარგებლობის დამადასტურებელი იჯარის ხელშეკრულება და ამონაწერი იყო ურთიერთშეთანხმებამო, რაზედაც სატენდერო კომისიამ არ მოახდინა რეაგირება, კერძოდ არ დააზუსტა ინფორმაცია. დასკვნაში ასევე მითითებულია, რომ კვადროციკლებს ტექმომსახურება აღნიშნულ სერვისცენტრში არასდროს ჩატარებიათ და იგი ხორციელდებოდა მხოლოდ სასაზღვრო პოლიციის კუთვნილ ტერიტორიაზე.¹²⁵ ამასთანავე, გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელმა მოახდინა კვადროციკლების გადაწყობა,¹²⁶ რასაც პრეისკურანტი არ ითვალისწინებდა. შესაბამისად, გაურკვეველია რა ფორმით და საშუალებით ხდებოდა ზემოხსენებული მომსახურების ანაზღაურება.

ანალოგიური მომსახურების შესყიდვის მიზნით, 2020 წელს გამოცხადებული 3 ტენდერი¹²⁷ არ შედგა. დასკვნის მიხედვით, აღნიშნული გამოწვეულია პრეისკურანტის დაბალი ფასით. კერძოდ: სავარაუდო ღირებულება აღებულ იქნა წინა წლის გამოცდილებით და არა ბაზრის კვლევის შედეგად. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ტენდერების უშედეგოდ დასრულების შემდგომ, აღნიშნული მომსახურების შესყიდვის მიზნით, არც გამარტივებული შესყიდვის ფორმით მომხდარა ხელშეკრულების გაფორმება. შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში კვადროციკლებზე¹²⁸ ვერ ხორციელდებოდა ტექმომსახურება, რამაც მოშალა საგარანტიო შემთხვევების (გარანტიაზე მყოფი დეტალის დაზიანების შემთხვევაში - უსასყიდლო შეკეთება) კონტროლის მექანიზმი,

¹²² NAT190003577.

¹²³ ი/მ კახაბერ ხაჩიაური

¹²⁴ 2019 წლის 26 მარტის ხელშეკრულება N15/3-178.

¹²⁵ სატენდერო დოკუმენტაცია ითვალისწინებდა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე კვადროციკლებისა და თოვლმავლების შეკეთებას/ტექმომსახურებას, ასევე სასაზღვრო პოლიციის სატრანსპორტო უზრუნველყოფას და ტექნიკური მომსახურებას ტერიტორიაზე ქიზიყის ქუჩა N1-ში.

¹²⁶ 2019 წელს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს გადაეცა, დაახლოებით, 7 ერთეული მეორადი კვადროციკლი სხვადასხვა დაზიანებით, რომელთა სათანადო რეპარაციის გამოყენებით აიწყო რამდენიმე კვადროციკლი.

¹²⁷ NAT200004176, NAT200005269, NAT200007313.

¹²⁸ 5 წელზე მეტი წლოვანების კვადროციკლები და თოვლმავლები.

ვინაიდან დაზიანების დადგენის მიზნით ვერ ტარდებოდა შესაბამისი დიაგნოსტიკა; აგრეთვე ხელშეკრულების არ არსებობის გამო, კვადროციკლებზე ვერ ხორციელდებოდა ისეთი გეგმური ტექმომსახურება (ზეთის, ხუნდების, ფილტრების შეცვლა), რომელიც დამოკიდებულია გარბენზე, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევდა სხვა დეტალების დაზიანებას.

დასკვნა

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები და ნაკლოვანებები, რომლებიც საბიუჯეტო სახსრების ნაკლებობასთან ერთად გამოწვეულია შესყიდვების არასწორი დაგეგმვის, შესასყიდი საქონლის/მომსახურების პრიორიტეტულობის დაუცველობის, შესყიდვის პროცედურების დაგვიანებით დაწყებით და სხვა ნაკლოვანებებით. კერძოდ:

1. სასაზღვრო პოლიციაში შესყიდვების გეგმის შედგენის პროცესი ეწინააღმდეგება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით გათვალისწინებულ შესყიდვების გეგმის შედგენის პრინციპებს და აუდიტის პერიოდში ატარებდა ფორმალურ ხასიათს. ამასთანავე, შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული თანხები მნიშვნელოვნად აღემატებოდა წლის განმავლობაში შესყიდვებისთვის განკუთვნილ დამტკიცებულ საბიუჯეტო ასიგნებებს.
2. შესყიდვების განხორციელებისას პრიორიტეტულობის დაუცველობისა და შესაბამისი პროცედურების დაგვიანებით დაწყების გამო, ხშირ შემთხვევაში დროულად ვერ ხორციელდება მოსამსახურეთა აუცილებელი სანივთე ქონებით უზრუნველყოფა, ბრძანებით გათვალისწინებული პერიოდულობითა და ოდენობით.
3. ზოგიერთი შემთხვევაში სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს პრეტენდენტების უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებდა, შედეგად, სანივთე ქონების შესყიდვა ხორციელდებოდა შესაძლებელზე მაღალ ფასად.

რეკომენდაცია N15

საქართველოს სასაზღვრო პოლიციას

სახელმწიფო შესყიდვების რაციონალურად და ეკონომიურად განხორციელების მიზნით:

- 1) შეიმუშაოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს შესყიდვების გეგმის შესაბამისობას დამტკიცებული ასიგნებების მოცულობასთან და სახელმწიფო შესყიდვების პროცესში პრიორიტეტულობის დაცვას;

- შესყიდვების პროცესი დაიგეგმოს და განხორციელდეს დროულად, რათა მოხდეს მესაზღვრეებისათვის ნორმით გათვალისწინებული სანიფთო ქონების დადგენილ ვადაში მიწოდება.

აუდიტორები

თემურ ჩილინდრიშვილი
მთავარი აუდიტორი

მეგი კოდოშვილი
წამყვანი აუდიტორი

ანა ზავრაშვილი
უფროსი აუდიტორი

გიორგი ხარატიშვილი
აუდიტორი

თორნიკე კაპანაძე
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

ხელმოწერა




ა. ზავრაშვილი

გ. ხარატიშვილი

თ. კაპანაძე

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და
სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>

<https://www.budgetmonitor.ge/ka>

<http://www.blog.sao.ge/>

<http://www.sai.ge/main/>

<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>

<https://www.youtube.com/user/saogeorgia>

<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE